სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 17 იანვარი 2006 №8 (2630) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლატერს ქართველები ბაზიერობას ასწავლიან

ახალკაცს ახალი კაცი მოუწონეს

ბადრი ჯეთელაძის ფოტო

გურამ ფოლადაშვილის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ევროპული ვოიაჟის მოსკოვური ეტაპი გუშინ დაასრულა და გერმანიაში გადაინაცვლა, გენმდივანი უჩა უგულავა კი თბილისში დაბრუნდა. ქართული ფეხბურთის თავკაცები გუშინწინ მოსკოვში სტუმრად მყოფ იოზეფ ბლატერსა და მიშელ პლატინის შეხვდნენ.

ფიფას პრეზიდენტმა საქართველოს ნაკრების მწვრთნელად კლაუს ტოპმიოლერის დანიშვნასთან დაკავშირებითაც გამოთქვა აზრი და ქართველების არჩევანი მოიწონა. ნოდარ ახალკაცმა კი მსოფლიო ფეხბურთის პირველკაცთან საუბარში სანაკრებო ბაზის თემა წამოწია და უკვე არსებულის უპერსპექტივობიდან გამომდინარე, ევროსტანდარტების შესაფერისი ახალი ტექნიკური ცენტრის მშენებლობის აზრიც გაუზიარა. ფედერაციის გეგმას პროგრამა „გოლის“ კურატორი ევა პასკიე და ფიფას მოსკოვური ბიუროს ხელმძღვანელი ვალერი ჩუხრი თებერვალში თბილისში ვიზიტისას დეტალურად გაეცნობიან და თუ ყველაფერი ახალკაცურად წარიმართა, 2008 წლის სექტემბერს საქართველოს ნაკრები ახალ ბაზაზე შეხვდება.

გატანა მეტოქეებმაც იციან

ინტერვიუ კახა კალაძესთან



დაუცველი ქართველი მწვრთნელები

ექვსი უკონტრაქტო, მაგრამ ვინ დათვლის ფიქტიურ კონტრაქტებს?

გიორგი შაშიაშვილი ჰაიდუკიდან წამოვიდა

ცოლ-ქმარი ბადის აქეთ და იქით

ვიქტორია რაკვა და ამირან ჯიოშვილი სპორტულად დაშორდნენ

გატანა მეტოქეებმაც იციან

მილანი მცველებისგან იცლება

გუშინწინ რომში ნაგების შემდეგ „მილანმა“ და კახა კალაძემ, ფაქტობრივად, დაკარგეს სკუდეტოს მოპოვების შანსი. „მილანმა“ „რომასთან“ 0:1 დათმო და ჩემპიონატის ლიდერ „იუვენტუსს“ 12 ქულით ჩამორჩა. ამხელა სხვაობის გაბათილება კი, მით უმეტეს, „იუვენტუსთან“, თითქმის შეუძლებელია. ახლა „მილანი“ იტალიის თასისთვის და ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის აპირებს ბრძოლას, თუმც ბოლო დროს კარლო ანჩელოტის გუნდი ძველებური შემართებით ვეღარ თამაშობს და საეჭვოა, მილანელებმა წლეულს რაიმე სერიოზულ წარმატებას მიაღწიონ.

„რომასთან“ კი კახა კალაძემ ალესანდრო ნესტასთან წყვილში ისევ დაცვის ცენტრში ითამაშა და ჩვენი კოლეგებისგანაც კარგი შეფასება დაიმსახურა...

— წავაგეთ, მაგრამ დაცვის თამაშით უკმაყოფილო არ ვარ, თავდამსხმელებისა და ნახევარმცველების მიმართ უფრო ჰქონდა მწვრთნელს პრეტენზიები, მათ ბევრი მომენტის შექმნა და გამოყენება შეეძლოთ, მაგრამ ვერ ისარგებლეს, „რომამ“ კი შანსი არ გაუშვა. თუმც რაც უნდა იყოს, წავაგეთ, ესე იგი, გუნდმა ისე ვერ ითამაშა, როგორც შეეძლო — გვითხრა კახა კალაძემ.

— „რომასთან“ ისევ დაცვის შუაში ითამაშე. ჩავთვა ლოთ, რომ პოზიცია უკვე საბოლოოდ შეიცვალე?

— მწვრთნელი რას ფიქრობს ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო რამდენიმე შეხვედრა სწორედ შუა მცველად ჩავატარე და არა მგონია, უახლოეს მატჩებში ანჩელოტიმ ისევ ფლანგზე დამაბრუნოს.

— ბოლოხანს „მილანის“ ლაცვას სულ უფრო ხშირად აკრიტიკებენ, 22 გაშვებული გოლი ნამეტანიაო. შენ რას იტყვი?

— ეს გაზვიადებული მგონია, საგანგაშო არაფერია. „მილანის“ დაცვა ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. ყველა მატჩს ვერ-ლგაუშვებლად ვერ ჩაამთავრებ, მეტოქეებმაც იციან გატანა.

— პაოლო მალდინი კიდევ დიდხანს ვერ ითამაშებს?

— ვერ გეტყვი, ჯერ ისევ მკურნალობს.

— ითქვა, ის კარიერას ამ სეზონის ბოლოს ამთავრებსო...

— ეგ მეც გავიგე, მაგრამ მალდინის ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

— გუნდი ახალი ფეხბურთელების შეძენას არ აპირებს?

— უახლოეს მომავალში „მილანმა“ ახალი ფეხბურთელები, მით უმეტეს, ორი-სამი მცველი თუ არ დაიმატა, საქმე ძალიან ცუდად გვექნება. ახლა გუნდს, ფაქტობრივად, ოთხი მცველი ჰყავს. სეზონის ბოლოს თამაშს ალესანდრო კოსტაკურტა დაამთავრებს, მალდინიზე უკვე ვთქვით, იაპ სტამი სამშობლოში, პსვ-ში ან „აიაქსში“ დაბრუნებაზე ფიქრობს დ. გამოდის, მცველებიდან მე და ნესტა ვრჩებით. ჩვენ ორნი კი ოთხის საქმეს ვერ გავწვდებით.

— წლეულს ჩემპიონობაზე ხელი უკვე ჩაიქნიეთ?

— ნახევარი სეზონი წინაა, მაგრამ „იუვენტუსთან“ უკვე 12 ქულას ვაგებთ და ჩემპიონობაც, რა თქმა უნდა, ძალიან გაგვიჭირდება. იტალიის თასზე და ჩემპიონთა ლიგაში კი წარმატების შანსი კიდევ გვაქვს და ვეცდებით, სეზონში ერთი ტიტული მაინც მოვიპოვოთ.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

ᲙᲐᲜᲙᲐᲕᲐᲡ ᲝᲓᲔᲡᲐᲛ ᲣᲮᲛᲝ

ჯაბა კანკავა ნაახალწლევს თბილისში, კუს ტბაზე ინდივიდუალურად ვარჯიშობდა და ახალი კლუბის მოლოდინში იყო. 19 წლის ნახევარმცველი ვლადიკავკაზის „ალანიას“ ეკუთვნის, თუმცა სხვა ქართველების მსგავსად, ტრანსფერზეა დაყენებული და მის მსურველ კლუბს გარკვეული თანხის გადახდა მოუწევს.

კანკავამ ორიოდ დღის წინ გვითხრა რუსული და უკრაინული კლუბები მიწვევენო. ნიჭიერი ნახევარმცველი ამჟამად თბილისში არ არის და, როგორც შევიტყვეთ, ოდესის „ჩერნომორეცს“ გაჰყვა თურქულ შეკრებაზე. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჯაბა უკვე ოდესელია, თუმცა თუ უკრაინელები ჯიბეზე ხელს გაიკრავენ...

ᲚᲣᲙᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ
ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ
1/16 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲒᲐᲓᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ
ᲔᲐᲠᲘ 0:2 *ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲢᲘ*

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲚᲘ�გᲐ
XVI ᲢᲣᲠᲘ
ᲚᲐᲠᲘᲡᲐ 1:0 ᲞᲐᲜᲘᲝᲜᲘᲝᲡᲘ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ
II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ
ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ
ᲔᲘᲜᲓᲰᲝᲕᲔᲜᲘ 0:0 ᲰᲔᲚᲛᲝᲜᲓᲘ

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ
ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ. XVIII ᲢᲣᲠᲘ
ᲡᲔᲢᲣᲑᲐᲚᲘ 0:2 ᲑᲝᲐᲕᲘᲣᲗᲐ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ
II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XXII ᲢᲣᲠᲘ
ᲑᲠᲔᲡᲢᲘ 0:2 ᲑᲐᲡᲢᲘᲐ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲮᲘᲖᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲛᲐ ᲓᲐᲐᲡᲕᲔᲜᲐ

ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚᲘ ᲓᲐᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ „ბლექბერნის“ ქართველი მცველი ზურაბ ხიზანიშვილი ვარჯიშისას დაშავდა და „მანჩესტერთან“ და „ბოლტონთან“ მატჩებიც ამის გამო გამოტოვა.

ხიზანიშვილს „მანჩესტერთან“ სათასო შეხვედრის წინ ნაოპერაციევ ფეხზე კუნთი დაეჭიმა და ერთი კვირა მკურნალობდა. მას შაბათს „ბოლტონთან“ თამაში კი შეეძლო, მაგრამ მწვრთნელმა „მანჩესტერთან“ მოთამაშე შემადგენლობის შეცვლა აღარ ისურვა, თანაც ექიმებმა არ გარისკეს და ზურაც უქმად დარჩა.

ახლა კი, როგორც ბლექბერნელები იუწყებიან, ქართველმა მცველმა ფორმა ბოლომდე აღიდგინა, სრული დატვირთვით ვარჯიშობს და მომავალ ტურში, სტუმრად „ნიუკასლთან“ ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება.

ამასობაში „ბლექბერნსა“ და „რეინჯერსს“ შორის მოლაპარაკება გრძელდება. მოგეხსენებათ, გლაზგოელებს ზურაბ ხიზანიშვილი ინგლისში სეზონის ბოლომდე ჰყავთ განათხოვრებული, ხოლო „ბლექბერნს“ ქართველი არ ეთმობა და მის გამოსყიდვას ცდილობს. „რეინჯერსი“ ჯერჯერობით უარზეა, ფეხბურთელის დაბრუნება სურს, ის ჩვენც გვჭირდებაო.

მოკლედ, ხიზანიშვილის ტრანსფერის თაობაზე კლუბებს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ვნახოთ, როგორი იქნება შედეგი, ხოლო ის, რომ ზურაბ ხიზანიშვილს „ბლექბერნში“ დარჩენა სურს და საამისოდ კლუბთან ერთად მოწადინებულია, ინგლისელებსაც და ფეხბურთელს ბევრჯერ უთქვამთ.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

ᲯᲔᲠ ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲔᲗ, ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲜᲡᲐᲯᲔᲗ

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲗᲐ ᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲐ

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲝᲜᲘᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲡᲐᲛᲔᲝᲠᲔᲓᲠᲔᲝᲓ თელავში ემზადება ადგილობრივი „კახეთი“. კახელები იმ გუნდების რიცხვში შედიან, რომელთაც სტაბილურად საშუალო (რა თქმა უნდა, საქართველოს კვალობაზე) პირობები გარანტირებული აქვთ და მიზნებსაც შესაბამისს ისახავენ.

როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჯემალ მახარაშვილმა გვითხრა, სადღეისოდ არც ერთი ფეხბურთელი არ დაუმატებიათ. წასვლით კი სამი ფეხბურთელი წავიდა — თავდამსხმელ ირაკლი სიხარულიძისა და მცველ გიორგი ნადირაშვილის ახალი ნავსაყუდელის შესახებ თელავში არაფერი უწყიან. რაც შეეხება ირაკლი იზორიას, კიევის „დინამოს“ ეკუთვნოდა, „კახეთში“ იჯარით თამაშობდა და უკრაინას დაუბრუნდა.

კახელთა მთავარი მწვრთნელი თვლის, რომ ლიგაში ადგილის შენარჩუნება მის გუნდს სავსებით ხელეწიფება, მაგრამ შემადგენლობის გაძლიერება ნამდვილად არ აწყენდა.

„კახეთი“ თვის ბოლომდე თბილისში ოთხი საკონტროლო შეხვედრის გამართვას გეგმავს — 20, 22, 25 და 29 იანვარს თელაველები შესაბამისად, „ბორჯომთან“, „ამერთან“, „თბილისი 2“-თან და „ზესტაფონთან“ აპირებენ გაჯიბრებას. სწორედ ამ შეხვედრების შემდეგ გაირკვევა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც მეორე წრეში თელავური გუნდის მაისურას მოირგებენ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲝᲜᲘᲐᲫᲔ

სანაკრებო პერსპექტივა: ეროვნულს ახალი ბაზა, ახალგაზრდულს გრანატკინი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ევროპული „ტურნეს“ მოსკოვური ეტაპი გუშინ დასრულდა. ნოდარ ახალკაცი რუსეთის დედაქალაქიდან გერმანიაში გაემგზავრა, სფფ-ის გენერალური მდივანი უჩა უგულავა კი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა მოსკოვში, თბილისში დაბრუნდა...

ბაბრი კეთილაძის ფოტო

თანამეგობრობის ჩემპიონთა თასის გათამაშების პარალელურად მოსკოვში პოსტსაბჭოური ქვეყნების საფეხბურთო ბომონდმა მოიყარა თავი. ტურნირს ტრადიციულად ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი და ვიცე-პრეზიდენტი მიშელ პლატინიც სტუმრობდნენ, რომლებსაც ნოდარ ახალკაცი და უჩა უგულავა შეხვდნენ. სფფ-ის პრესსამსახურის ცნობით, ბლატერმა განსაკუთრებულად გამოარჩია საქართველოს ნაკრების მწვრთნელად კლაუს ტოპმიოლერის დანიშვნა:

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კლაუს ტოპმიოლერისა და მისი თანაშემწეების საქმიანობა ეროვნული გუნდით კი არ შემოიფარგლება, არამედ კურირება გაეწევა ახალგაზრდულ ნაკრებებს; უმაღლესი დონის გერმანელი სპეციალისტები თავის ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებენ ქართველ მწვრთნელებს“.

ბლატერთან შეხვედრისას ერთ-ერთ საკითხად განიხილეს საქართველოს ნაკრების ბაზის პერსპექტივაც. ახალკაცისა და უგულავას თქმით, ბაზა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს და პრობლემის გადაწყვეტის მიზნით თებერვალში საქართველოს ეწვევიან პროგრამა „გოლის“ კურატორი ევა პასკიე და ფიფას რეგიონალური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ვალერი ჩუხრი.

გუშინ დავუკავშირდით უჩა უგულავას და სანაკრებო ბაზის საკითხზე უფრო დეტალური კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ.

სფფ-ის გენმდივანმა განაცხადა, რომ ახალი სანაკრებო ბაზის მშენებლობის იდეა ფეხბურთის ფედერაციაში უკვე აქტიურად განიხილება. თუკი ყველაფერი ქართული მხარის სურვილისამებრ წარიმართა, უკვე 2008 წლის სექტემბერს, ანუ მსოფლიოს ჩემპიონატის ახალ შესარჩევ ციკლს საქართველოს ნაკრები ახალი ბაზით შეხვდება. თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას უნდა შეეძლოს ერთდროულად ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიღება და საერთოდაც, რამდენიმე გუნდის მასპინძლობა, რაც შესაძლებელს გახდის ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფური ტურნირების საქართველოში გამართვას.

და რა ეშველება უკვე არსებულ ბაზას? უჩა უგულავას თქმით, ერთერთ სავარაუდო ვარიანტად ახალგაზრდული ნაკრებისთვის ან ქალთა ფეხბურთისთვის მისი გადაცემა მოიაზრება. არ არის გამორიცხული საფეხბურთო კლუბებისთვის მიქირავება მოსამზადებელი ეტაპების გასავლელად.

საერთოდაც, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ძველი და ახალი ბაზაც არა ტვირთი, არამედ შემოსავლის ერთ-ერთი წყარო შეიძლება გახდეს.

თუკი ეს მოხერხდება ისიც, რომ „გოლი 2“-ის პროექტით გამოყოფილი თანხა (400 ათასი დოლარი) დღევანდელ ბაზაზე ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოსაწყობად არ დაიხარჯება და ახლის მშენებლობას მოხმარდება, ამავე პროექტში ჩაიდება „გოლი 3“-ის ფარგლებში გამოყოფილი თანხებიც, თავად პროექტის რეალიზაცია კი 2007 წლიდან დაიწყება.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც უჩა უგულავამ გაგვიმხილა: მომავალი წლიდან საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ითამაშებს გრანატკინის სახელობის მემორიალზე, რომელიც ყოველწლიურად იმართება მოსკოვში.

გიორგი ნოზაძე

გრიგოლ ხურციძე: ტორპედოს სერიოზული ინვესტორი ეყოლება

ქუთაისს მირზა მერლანი უდარაჯებს

„თუ ყველაფერი კარგად იქნება, გაისად ჩემპიონისთვის თუ არა, სამეულში მოსახვედრად მაინც ვიბრძოლებთ. მეორე წრეში სერიოზულ ინვესტორს ველით“ — გვითხრა ქუთაისის „ტორპედოს“ პრეზიდენტმა *გრიგოლ ხურციძემ* და ეს ნაღდად სასიამოვნოა, რადგან „ტორპედოს“ დარი ტრადიციების გუნდის მეათე ადგილზე ყოფნა, ცოტა არ იყოს, თვალს ეხამუშება...

— ინვესტორის ვინაობას როდის შევიტყობთ?

— მეორე წრეში, დაახლოებით ორი ტურის შემდეგ. ისე, ფინანსური მდგომარეობა ახლაც ნორმალურადაა „ტორპედოში“.

— საერთოდ, ახალ ინვესტორს რადიკალური ცვლილებები შეაქვს კლუბში, ფაქტობრივად, ახალი გუნდი ყალიბდება ხოლმე. „ტორპედოშიც“ ასე იქნება?

— ამაზე შემდეგ ვისაუბროთ. შესაძლოა, რაღაც ცვლილებები იყოს, მაგრამ რადიკალური არ იქნება. ჩვენ 27-28 წლის ფეხბურთელს აღარ ავიყვანთ, ახალგაზრდებზე ვაკეთებთ აქცენტს.

— ვიცით, რომ რევაზ კვერნაძე დაიმატეთ „ზესტაფონიდან“ და ნიკა ნადირაძე „ამერიდან“. სხვა შენაძენები არ ყოფილა „ტორპედოში“?

— მეკარე მირზა მერლანი ვინათხოვრეთ ექვსი თვით. იგი ლიტვურ „ვეტრას“ ეკუთვნის, ამ სეზონში ჩვენთან ითამაშებს და დიდი შანსია, ზაფხულში საბოლოოდ გამოვისყიდოთ. მერლანის გარდა, ავიყვანეთ კობახიძე გორის „დილადან“ და „ტორპედოს“ ბავშვთა სკოლის რამდენიმე აღსაზრდელი, რომლებიც ძალიან პერსპექტიულები არიან. მერლანის გადმოყვანამ კი ორმაგად გამახარა, რადგან მეკარის პოზიციაზე ძალიან გვიჭირდა.

— ისრაელში დაგეგმილი შეკრება საბოლოოდ ჩაიშალა?

— დიახ. ანთალიაში ვაპირებდით წასვლას, მაგრამ, სამწუხაროდ, ქათმის გრიპის გამო ვიუარეთ. მზადების პირველი ეტაპი უკვე დასრულდა, მეორე ეტაპი კი ხვალიდან დაიწყება და 27 იანვარს დასრულდება. 23 და 27 იანვარს ფოთის „კოლხეთს“ შევხვდებით ტესტ-მატჩში. თებერვლის დასაწყისში კი კიდევ რამდენიმე ამხანაგურს ვითამაშებთ. გარდა ამისა, გეტყვით, რომ ბავშვთა ფეხბურთზეც ვზრუნავთ — მათთვის ერთი სტადიონის მშენებლობა უკვე დავასრულეთ, ორიც ახლა შენდება.

— ჩემპიონობა და სამეული ახსენეთ. დღევანდელი შემადგენლობით ეს რეალურად მიგაჩნიათ?

— „ტორპედოს“ დღევანდელი კონტინგენტი უფრო დაღვინდება, გამოცდილებას მიიღებს. პირველ წრეში გუნდი შეუთამაშებელი ჩანდა, იყვნენ ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ერთ თამაშს კარგად ჩაატარებდნენ, მეორეს კი ჩაგდებდნენ ხოლმე. ახლა ხუთი-ექვსი ახალი ფეხბურთელია „ტორპედოში“, ანუ გუნდი საკმაოდ გადასხვაფერდა. გარდა ამისა, 35-მდე მოთამაშე ისინჯება, მაგრამ მათ ტესტები ჩაუტარდებათ და ვინც ვერ ჩაბარებს, „ტორპედოდან“ წასვლა მოუწევს.

ილია ანანოგაჯვილი

თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპმიოლერთან

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.

კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

დაუცველი ქართველი მწვრთნელები

მონათმფლობელობა?



გურამ დოლენჯავილის ფოტო

ქართული ფეხბურთის გამოჯანმრთელება კენწეროდან დაიწყო — ეროვნულ ნაკრებს კლაუს ტოპმიოლერი დაუნიშნეს, მაგრამ რა ხდება ქვევით, ანუ რა დღეში არიან ქართველი მწვრთნელები?

ზოგჯერ საქმეს ზემოდან დაიწყებ თუ ქვემოდან, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, მხაზველობით გეომეტრიაში — ნახაზის ხაზვას გინდ ქვემოდან შეუდგები, გინდ ზემოდან, მაგრამ საფეხბურთო ნახაზები ქვემოდან იწყება, ტაქტიკურიც და სტრუქტურულიც.

მოკლედ, საქართველოში მწვრთნელები თუ ვერ გაიზარდნენ, ვინ მოუმზადებს ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ახალ ფეხბურთელებს?!

საქართველოში სამუშაოს შოვნა საფეხბურთო მწვრთნელისთვისაც ჭირს, რაც კარგად უწყიან უმაღლესი ლიგის კლუბთა მესვეურებმაც — მწვრთნელებთან ფორმდება ფიქტიური კონტრაქტები, ხელშეკრულებებში ფორმალობანი დაცულია, მაგრამ, ფაქტობრივად, მწვრთნელი კაბალურ პირობებშია — როცა უნდათ, მაშინ მოხსნიან და მის ინტერესებს ვერავინ დაიცავს — ასე ხდება უმეტეს შემთხვევაში.

ექვსი უკონტრაქტო, მაგრამ ვინ დათვლის ფიქტიურ კონტრაქტებს?

მწვრთნელის ინტერესი პირველ რიგში ფეხბურთის ფედერაციამ და პროფლიგამ უნდა დაიცვან, მაგრამ ვინმეს ახსოვს, ამ ორგანიზაციებში როდესმე თუ გამართულა ერთგვარი საარბიტრაჟო სასამართლო კლუბსა და მწვრთნელს შორის?

თუნდაც შარშანდელი ამბავი გავიხსენოთ — თბილისის „დინამოდან“ დათხოვნილმა გია გეგუჩაძემ კლუბს სასამართლოში უჩივლა და მხარეებმა საბოლოოდ შეთანხმებას მიაღწიეს, მაგრამ რატომ არ გაარჩიეს საქმე ჯერ ფედერაციაში ან პროფლიგაში?

მწვრთნელს კლუბისგან ხელფასის გარდა სჭირდება ნდობა და დროის კრედიტი. მწვრთნელი დაცული უნდა იყოს კონტრაქტითაც — თუ მოხსნიან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მაინც უნდა აიღოს. მაგრამ ვის დაუჯერებ, რომ ჩვენი უმაღლესი ლიგის ყველა კლუბში თუ არა, უმეტეს მათგანში მაინც საქმე ასე ცივილიზებულადაა აწყობილი?!

თავის მხრივ, ჩვიან კლუბთა ხელმძღვანელებიც, მწვრთნელს როგორ ვენდოთ, როცა ისინი ათასგვარ მაქინაციებში არიან შემჩნეულებიო. მათ ასეთ პასუხს გავცემდით: ქართული ფეხბურთი ისეთი ციხეა, რომელიც შიგნიდან ჯერ არ გატეხილა და ალბათ არც გატყდება — ყველამ ყველაფერი იცის და უმეტესობა ცულლუტობს.

ასეთ ისტორიას მოგიყვებით: ერთ გუნდს ძალიან მნიშვნელოვანი თამაში ჰქონდა თბილისში და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კლუბის ხელმძღვანელობას სთხოვა, ათდღიანი შეკრება მოვუწყოთ გუნდს ქობულეთშიო. წავიდა გუნდი ქობულეთში, რომლის მწვრთნელი თითო ფეხბურთელს დღეში რვა ლარს „უტეხავდა“ შეკრების ფულიდან. მერე ჩავიდა ქობულეთში დატუსაღებული გუნდი თბილისში და თამაშიც წააგო.

ულირს მწვრთნელთა გამდიდრების კიდევ ერთი გზა — მთავარი მწვრთნელი ავალებს თავის თანაშემწეს, რომ მან ფეხბურთელებს პრემიიდან თუ ხელფასიდან დაადებინოს თანხა, „სტიკავოი“ თამაშისთვის მსაჯის „გასამაზად“...

რა თქმა უნდა, ასეთების შესახებ კლუბის მეპატრონეებმა კარგად უწყიან, მაგრამ ჩვენთან ისეც ხდება, რომ ასეთ მწვრთნელებს მაინც ამუშავებენ თავიანთ გუნდებში, ანუ ხანდახან ულირს მწვრთნელს მუშაობის უკეთესი პერსპექტივა აქვს, ვიდრე არაულირსს.

და მაინც, ვინ მუშაობს კონტრაქტით უმაღლესი ლიგის გუნდებში და ვინ არა — ამის დადგენა მოვახერხეთ, მაგრამ იმაზე ხელი აღარ მიგვიწვდება, თუ ვისი კონტრაქტია ნაღდი და ვისი ფიქტიური.

ალბათ არავის უნდა უხაროდეს, რომ ჩვენს ყველაზე სახელიან კლუბში მწვრთნელი უკონტრაქტოდ მუშაობს, რითაც მას ისედაც მძიმე ტვირთს კიდევ უფრო უმძიმებენ. თბილისის „დინამოს“ მაგალითიდანაც შეგვიძლია, საფუძვლიანი ეჭვი გვქონდეს იმ კლუბებზე, სადაც მწვრთნელები ფორმალურად კონტრაქტით მუშაობენ, სინამდვილეში კი...

დავით თავართქილაძე



გადრი კეთილაძის ფოტო

კახა ცხადაძე | **ოთარ გაბელია** | **გიორგი დევდარიანი**

გურამ დოლენჯავილის ფოტოები

კახა ცხადაძე, „დინამო“ — მუშაობს უკონტრაქტოდ.

ნესტორ მუმლაძე, „ვიტ ჯორჯია“ — კონტრაქტი აქვს სეზონის ბოლომდე.

თემურ მახარაძე, „ზესტაფონი“ — კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს კიდევ ერთი წლით.

სოსო სირაძე, „ლოკომოტივი“ — კონტრაქტი ჯერ არა აქვს.

ოთარ გაბელია, „ბათუმი“ — მუშაობს უკონტრაქტოდ.

სოსო ფილია, „კოლხეთი“ — კონტრაქტი აქვს 2008 წლის ზაფხულამდე.

გიორგი დევდარიანი, „თბილისი“ — მუშაობს უკონტრაქტოდ.

ჯუმბერ აბაშიძე, „სპარტაკი“ — კლუბში ზუსტად ვერ გვითხრეს, თუ რა ვადიანი კონტრაქტი აქვს აბაშიძეს „სპარტაკთან“.

ივანე თაყაძე და ზურაბ მაისურაძე, „ცხინვალი“ — ამ გუნდს ორი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, თაყაძე მუშაობს უკონტრაქტოდ, ხოლო მაისურაძეს კონტრაქტი აქვს 2010 წლამდე.

რევაზ გურკაძე, „ტორპედო“ — კონტრაქტი აქვს სეზონის ბოლომდე.

გიორგი ჩიხრაძე, „ამერი“ — წინა კონტრაქტი 2005 წლის მაისში ამოიწურა და ავტომატურად გაგრძელდა კიდევ ერთი წლით.

სოსო ფრუიძე, „ბორჯომი“ — კონტრაქტი აქვს სეზონის ბოლომდე.

ვლადიმერ ხაჩიძე, „დილა“ — მუშაობს უკონტრაქტოდ.

ჯემალ მახარაშვილი, „კახეთი“ — კონტრაქტი აქვს სეზონის ბოლომდე.

ხვიჩა ქასრაშვილი, „სიონი“ — კონტრაქტი აქვს სეზონის ბოლომდე.

გოჩა ჟორჟოლიანი, „სოხუმი“ — არის კლუბის 50-პროცენტიანი მფლობელი, მეორე 50 პროცენტი კი ეკუთვნის მის ძმას. კლუბთან აქვს ფორმალური კონტრაქტი.

გიორგი შაშიაშვილი ჰაიდუკიდან წამოვიდა

ამ პირობებით ხორვატიაში ვერ ვიცხოვრებდი

25 წლის მცველი გიორგი შაშიაშვილი, ვინც კვლავ ვლადიკავკაზის „ალანიას“ ეკუთვნის, 8 იანვარს ხორვატიაში გაემგზავრა და იქაურ „ჰაიდუკს“ მიაშურა, თუმც...

— თბილისში მოვდივარ, რადგან ჩემი „ჰაიდუკში“ ჩარიცხვა არ გამოვიდა.

— რატომ? საქმეს ხომ ისეთი პირი უჩანდა, რომ სპლიტის „ჰაიდუკის“ ფეხბურთელი უნდა გამხდარიყავი...

— „ჰაიდუკში“ გასინჯვაზე ნამდვილად არ მივსულვარ, წინასწარი მოლაპარაკებით, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ როცა ხელმოსაწერად დამიდეს კონტრაქტი, იქ ადრე შემოთავაზებულზე ბევრად ნაკლები პირობები ეწერა, თითქმის ორჯერ უარესი. ასეთი პირობებით სპლიტში ოჯახთან ერთად ნამდვილად ვერ ვიცხოვრებდი.

— „ჰაიდუკი“ რა ვადიან კონტრაქტს გთავაზობდა?

— ჯერ სეზონის ბოლომდე დარჩი ჩვენთან და მერე უკეთესი პირობები გექნებაო. „ჰაიდუკს“ ჩემ თაობაზე „ალანიასთან“ უკვე მიღწეული ჰქონდა შეთანხმება და თუ იქ დავრჩებოდი, ალანიური ხელფასიდან ვერაფერს მივიღებდი. მოკლედ, სეზონის ბოლომდე „ჰაიდუკის“ შემოთავაზებული პირობებით ვერ გავძლებდი.

— როგორც ვიცით, ხორვატიაში ივო შუშაკის ძალისხმევით მოხვდი — რა გირჩია შუშაკმა? მის გაწვრთნილ „ოსიეკში“ გადასვლა არ შემოგთავაზა?

— შუშაკმა მითხრა, „ჰაიდუკს“ ახლა ფინანსურად უჭირს და ჯობია, სეზონის ბოლომდე სხვა გუნდში ითამაშოო. რაც შეეხება მის „ოსიეკს“, ხორვატიაში კლუბს მინიმუმ 30 მილიონი ევრო უნდა ჰქონდეს ანგარიშზე, ლეგიონერები რომ იყოლიოს. სეზონის დამთავრების შემდეგ ეს კანონი უქმდება და მხოლოდ მაშინ გაჩნდება ჩემი „ოსიეკში“ გადასვლის შესაძლებლობა.

— ახლა რა უნდა ჰქნა?

— ჩამოვალ თბილისში, კიდევ ერთხელ დაველაპარაკები „ალანიას“ და ვნახოთ...

დავით თავართქილაძე

სირაძის საახალწლო თავგადასავალი

კონტრაქტი, ფრაიბურგი და მესამე შანსი პროვინციიდან

24 წლის დავით სირაძემ ერცგებირგეს აუე-სთან წლინახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. სირაძე რომ აუეში ჩაირიცხებოდა, შარშანდელი წლის ბოლოს გადაწყდა, ხელშეკრულება კი ახლახან გაფორმდა.

აუე-მ საშუასეზონო მოსამზადებელი ეტაპის პირველი ნაწილი პორტუგალიაში გაიარა, საიდანაც გუშინწინ დაბრუნდა გერმანიაში და ჩვენებურსაც ახალ ამბებზე დავეკითხეთ...



„პორტუგალიაში ზღვისპირა ქალაქ ფაროში ვიყავით, ჩვენ და „ფრაიბურგი“ ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით — მეხუთე სართულზე ჩვენ, მეექვსეზე კი ფოლკერ ფინკეს გუნდი. რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნო იყო, ალექსანდრე იაშვილი და ოთარ ხიზანეიშვილიც იქ რომ იყვნენ, მათთან საკმაოდ დიდ დროს ვატარებდი“ — გვითხრა აუელმა ჩვენებურმა.

აუე-ს ასევე მეორებუნდესლიგელ „ფრაიბურგთან“ ფაროში ამხანაგური მატჩი არ გაუმართავს, ერცგებირგელებმაც და ფრაიბურგელებმაც სხვა გუნდებთან წაისპარინგეს.

„ჯერ ბუნდესლიგის „მაინცს“ ვეთამაშეთ 1:1, არადა, მთელი მატჩი ვიგებდით და მეტოქემ ბოლო წუთებზე პენალტით გაგვითანაბრა. მერე კი პორტუგალიის ერთ-ერთ ქვედალიგელ გუნდს 2:0 მოვუგეთ. ორივე შეხვედრა მარჯვენა შემტევის პოზიციაზე ვითამაშე და ერთი საგოლე პასი გავაკეთე. ვერ ვიტყოდი, რომ ძალიან მაგრად ვითამაშე, თუმც ნორმალურად კი წარმოვაჩინე თავი, რაც გუნდის თავკაცმა გერდ შედლიხმაც მითხრა.

რაც შეეხება ფრაიბურგელებს, მათაც ორი საკონტროლო მატჩი ითამაშეს ფაროში და ორივეში დამარცხდნენ — „აინტრახტთანაც“ და მოსკოვის „დინამოსთანაც“ 0:1, არადა, „ფრაიბურგი“ ორივე შეხვედრაში ჯობდა თამაშით მეტოქეებს. ჩინებულ ფორმაშია იაშვილი, ხოლო ტრავმამოშუშებული ხიზანეიშვილი საკონტროლო თამაშებში დიდად არ დატვირთეს, მიუხედავად იმისა, რომ სრული დატვირთვით ვარჯიშობს“ — გვამცნო სირაძემ.

აუე-ც და „ფრაიბურგიც“ ერთდროულად აიბარგნენ ფაროდან და ახლა გერმანიაში ემზადებიან მეორე ბუნდესლიგის მეორე წრისთვის. მათ სხვადასხვა მიზნები აქვთ — „ფრაიბურგი“ მეორე ბუნდესლიგის ზედა სამეულს ოდენ ორი ქულით ჩამორჩება და პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებისთვის იბრძვის, ხოლო აუე თვრამეტგუნდა მეორე ბუნდესლიგაში მეათე ადგილზეა და მიმდინარე სეზონში დიდი მიზნები არ ამოძრავებს.

„ბერლინის „უნიონისა“ და „ტრირის“ შემდეგ, აუე ჩემი მესამე მეორებუნდესლიგური გუნდია და ეს მესამე შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენო. ერცგებირგე პროვინციული ქალაქია, თუმც აუე „უნიონზეც“ და „ტრირზეც“ უფრო ძლიერი გუნდი ჩანს. ახლა მთავარია, ვითამაშო და ეროვნული ნაკრების მწვრთნელის, კლაუს ტოპმიოლერის თვალთახედვის არეში მოვხვდე“ — გვითხრა სირაძემ, ვისაც ეროვნულ ნაკრებში აქამდე ორჯერ უთამაშია.

დავით თავართქილაძე

ქართველები უცხოეთში

შოთა პიკენჰაგენი უკვე ავარჯიშა

კახა კალაძის „მილანმა“ სტუმრად „რომასთან“ 0:1 წააგო და მესამე ადგილამდე დაქვეითდა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა სრულად ითამაშა და გაფრთხილებასაც გამოჰკრა ხელი, მატჩის ერთადერთი გოლი კი მილანელებს 81-ე წუთზე ბრაზილიელმა ამანტინო მანსინიმ გაუტანეს.

მოიგო *შოთა არველაძის* „ალკმაარმა“. ჩვენებურს გოლი არ გაუტანია და ამაში საქართველოს ნაკრების მეკარეობის კანდიდატ მარტინ პიკენჰაგენს მიუძღვის წვლილი — „ჰერაკლესის“ გერმანელმა მეკარემ შოთას ურთულესი დარტყმული აუღო.

ალკმაარელებმა კი 2:0 იძალეს და კვლავაც კუდში მისდევენ ბობოლა ჰოლანდიელებს — პსვ-ს და „ფეიენოორდს“.

თემურ ქეცბაიას „ანართოსისი“ ფერზე მოდის — ფამაგუსტელებმა ამჯერადაც იმარჯვეს, დებიუტანტი „აპეპი“ 1:0 დაამარცხეს და ლიდერთა ჯგუფს მიუახლოვდნენ. „ანართოსისში“ ჩვენებურთაგან ქეცბაიამ, *კლიმენტი წიტაიშვილმა* და *ამირან მუჯირმა* ითამაშეს.

კახა შალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	რომა 0:1	90	გააფრთხილეს	12	1	3
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლექბერნი	შ	ბოლტონი 0:0	0	სათადარიგო	15	0	9
ჰოლანდია. ერედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	ს	ჰერაკლესი 2:0	90		18	13	3
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	ტილბურგი 1:1	90		10	0	12
საბერძნეთი. ეროვნული ლიგა								
ლევან მაღრაძე	ქსანთი	ს	პაოკ 0:1	80	შეცვალეს	11	0	5
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	ს	აპეპი 1:0	90		11	2	4
კლიმენტი წიტაიშვილი	ანართოსისი	ს	აპეპი 1:0	90		12	3	4
გიორგი გაბიდაური	ანართოსისი	ს	აპეპი 1:0	0		5	0	4
ამირან მუჯირი	ანართოსისი	ს	აპეპი 1:0	50	შეცვალეს	2	0	4
ლევან ქებაძე	აშნა	შ	ომონია 0:1	30	შეცვლაზე ითამაშა	11	2	11

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

სვენ გორან ერიკსონი ცრუშეიხმა გაასულელა

შვედი წამოაგეს

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი დუბაიში ყოფნისას ერთ განთქმულ შეიხს ესაუბრა, შეიხი კი გადაცმული ჟურნალისტი გამოდგა.

ჩვეულებრივ თავდაჭერილ ერიკსონს ამ ჯერზე პირი მოუღია და თავის ფეხბურთელებზე ისეთები უთქვამს, რომ ინგლისში ერთი ბათქა-ბუთქი ატყდა. მაგალითად, მისი ნალაპარაკევის გამგონე ძველ ვარსკვლავს, კრის უოდლს ეშინია, რომ შვედი ვერასოდეს დაიბრუნებს ფეხბურთელთა ნდობას, ჯემი რედნაპი კი ამბობს, რომ ერიკსონს იმის ჭკუა კი უნდა ჰქონდეს, რომ თავისი ფეხბურთელების შესახებ პირველად ნანახ კაცს ასე არ ელაპარაკოსო.

უშუალოდ ნალაპარაკევი არავის მოუსმენია, მის შესახებ უყვითლესმა „ნიუს ოვ ზე უორლდმ“ ამცნო ქვეყანას.

კერძოდ: თურმე, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შვედი ნაკრებს მიატოვებს და თუკი არაბი მილიონერები „ასტონ ვილას“ იყიდიან, მისი მენეჯერი გახდება, ხოლო დევიდ ბექემი მადრიდიდან მასთან, „ვილაში“ გადმოვა. ერიკსონს ასევე უთქვამს „შეიხისთვის“, მაიკლ ოუენი მხოლოდ ფულისთვის გადავიდა „ნიუკასლში“, ხოლო რიო ფერდინანდი კი ძალიან ზარმაციაო.

შვედს შეიხისთვის მოუხსენებია, „ვილას“ ყიდვა 25 მილიონ გირვანქად შეიძლება და თუ ამას გაახერხებთ, ნაკრებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგვე გავწყვეტ კონტრაქტს და ბირმინგემში წამოვალო.

ამ ნალაპარაკევის ტყუილ-მართალის ხარისხის დადგენა კი ძნელია, მაგრამ მედიამ შეიტყო, რომ ერიკსონს ბექემისთვის დაურეკავს და უთქვამს, გამაბითურეს და შარში გაგხვიე, რისთვისაც ბოდიშს გიხდიო. ბექემი ნაწყენი ყოფილა.

მოკლედ, დიდი სკანდალი გორდებ.

ირაკლი გამყრელიძე

ბლატერი ბალაკისთვის ჩარიგდნენ

გერმანელის ქარიზმა ინტერს მილიონები უჯდება

მილანის „ინტერმა“ უკვე საჯაროდ დაადასტურა მიხაელ ბალაკისადმი ინტერესი და ჩაერთო კიდეც მისთვის ბრძოლაში. „ნერო აძურის“ მფლობელმა მასიმო მორატიმ აღნიშნა, რომ გერმანელი ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონის შემცვლელი იქნება და გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს. მოგეხსენებათ, ვერონს მრავალჯერ უთქვამს, სეზონის ბოლოს კლუბს დავტოვებ და სამშობლოში დავბრუნდებიო. წესით, მისი შემცვლელი დავიდ პიზარო უნდა გამხდარიყო, მაგრამ ჩილელი „ინტერს“ ჯერ ვერ მოერგო

მასიმო მორატი: „იმედი მაქვს, ვერონი წასვლას გადაიფიქრებს და ჩვენთან დარჩება, თუმც ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ და მისი შემცვლელი გვჭირდება. პოზიციის მიხედვით, ეს დავიდ პიზაროა, მაგრამ გუნდს უფრო ქარიზმატული და ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული ფეხბურთელი სჭირდება. ბალაკი კი სწორედ ასეთია“.

გერმანიის ნაკრებისა და „ბაიერნის“ ლიდერი მომავალ ზაფხულს, ალბათ, თავისუფალი აგენტი გახდება, რადგანაც მიუნხენელებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს. მისი ხელში ჩაგდება კი „ინტერის“ გარდა ოთხ გრანდს სურს — „იუვენტუსს“, „მანჩესტერ იუნაიტედს“, „რეალსა“ და „ბარსელონას“. გავრცელებული ცნობით, ამჟამად ყველაზე მეტად ტურინელები აქტიურობენ.

„არ მჯერა, რომ ბალაკი და მისი აგენტი უკვე მოელაპარაკნენ ვინმეს. მსურველი ბევრია და ჩვენ ვეცდებით, ყველას ვაჯობოთ. ვფიქრობ, სეზონში 3 მილიონი გირვანქა მიხაელს მოხიბლავს. როგორც ვიცი, „ბაიერნს“ მისი „იუვენტუსში“ გაყიდვა მაინცდამაინც არ უნდა, ამიტომ ყველაფერი თავად ბალაკის გადასაწყვეტია“ — დასძინა მორატიმ.

პარალელურად, გრძელდება საუბარი ვალერი ბოჟინოვის „შავლურჯებში“ გადასვლაზე, რაც უკვე საკმაოდ რეალურია. მორატიმ ამაზეც ილაპარაკა და ტრანსფერი არ გამორიცხა. ასე რომ, დიდი შანსია, „ინტერი“ „ფიორენტინას“ მოელაპარაკოს და ბოჟინოვი სეზონის ბოლომდე ტოლდოში გაუცვალოს. დანარჩენი კი ზაფხულში გამოჩნდება.

„ტოლდოსთან ჯერ ამაზე არ მისაუბრია. თუ მას ფლორენციაში დაბრუნება და ძირითად შემადგენლობაში თამაში სურს, ხელს არ შევუშლით. ბოჟინოვს რაც შეეხება, იგი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და თუ ასე გაგრძელა, დიდი მომავალი ექნება. ერთი სიტყვით, ჩვენ თავდასხმაში გარკვეული პრობლემები გაგვიჩნდა, ხოლო „ფიორენტინას“ მეკარე სჭირდება, ამიტომაც ამ გაცვლას არ გამოვრიცხავ“ — თქვა „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ.

თავად ვალერი ბოჟინოვმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „მინდა, ფეხბურთი რეგულარულად ვითამაშო. რაც შეეხება „ინტერს“, მილანელებს სიამოვნებით შევუერთდებოდი“.

„იების“ ძირითად შემადგენლობაში ბულგარელი ხშირად ვერ ხვდება, რითაც უკმაყოფილოა. ფლორენციელთა უფროსობას კი მისი კომენტარები არ ეამა.

„ფეხბურთელი, რომელიც თავის გუნდზე ზრუნავს, ასე არ უნდა ლაპარაკობდეს. ვალერი ბოჟინოვი და ჯამპაოლო პაცინი ახალგაზრდები არიან და მათი ამბიციებიც მესმის, მაგრამ მოთმინება მართებთ. ორივე ძალიან ნიჭიერია და თუ შეცდომებს არ დაუშვებენ, დიდი ფეხბურთელები დადგებიან“ — აღნიშნა „ფიორენტინას“ მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ.

კოკი კანდელაკი

ბლატერი კროიდონში

შარი მდედრობითი სქესისაა

ენტონ ფერდინანდი ცნობილი რიო ფერდინანდის უმცროსი ძმა და თავადაც ფეხბურთელი გახლავთ. ის გასულ სექტემბერს ლონდონის სიახლოვეს, კროიდონში სცემეს. ჩხუბი გოგოს გამო ატყდა, ჩვენ კი ეს ამბავი იმიტომ გაგვახსენდა, რომ თავდამსხმელი, 23 წლის ნახევრად პროფესიონალი ფეხბურთელი ლიონ მაკდაუელი ცხოვრების შემდგომ ორ წელიწადს ციხეში გაატარებს

ჩხუბი იმით დაიწყო, რომ მაკდაუელმა „ვესტ ჰემის“ მოთამაშეს ღამის კლუბში ბრალი დასდო, ჩემს საცოლეს ეკურკურებოდიო. ამას მოჰყვა და მოჰყვა, ხოლო შედეგი ის გამოვიდა, რომ 20 წლის ენტონი და მისი ორი ძმაკაცი, მათ შორის თანაგუნდელი ნაიჯელ რიო-კოკერი ისე გაძარცვეს, რომ წართმეულმა ტელეფონ-საათ-სამკაულმა ჯამში 37 ათასი გირვანქა შეადგინა. როგორც ბრალმდებელმა მათიოს ლიფტერისმა კროიდონის სასამართლოს განუცხადა, ღამის კლუბს, სადაც ეს ამბავი შუაღამისას მოხდა „ესკაპადესი“ ჰქვია და იქ მისტერ ფერდინანდმა გოგონას ტელეფონი გაუწოდა შენი ნომერი ჩამიწერეო.

ეს ამბავი სამხრეთლონდონური „კროიდონ ათლეტიკის“ მოთამაშემ, ზემოხსენებულმა მაკდაუელმა დაინახა, მივიდა ფერდინანდთან და ჰკითხა, რა ხდებაო. რომ გაარკვია, რაც ხდებოდა, მაკდაუელმა ფერდინანდს უთხრა, ქალი ჩემია და ტელეფონის ნომერს ნუ ართმევო. საინტერესოა, რომ ერთი ხნის შემდეგ მაკდაუელი სულ სხვა ინციდენტის გამო ღამის კლუბის დაცვამ შენობიდან გამოისტუმრა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს ფერდინანდისა და მისი მეგობრებისთვის უარესი გამოდგა, რადგან ისინი ამ დროს „კროიდონ ჰი სტრიტზე“ საქაბაბეში ბრძანდებოდნენ და მაკდაუელმა იქ დაინახა. ერთი სიტყვით, მან ენტონ ფერდინანდს ტელეფონი წაართვა, მის მეგობრებს კი კიდევ ორმა თავდამსხმელმა 32 ათასიანი ყელსაბამი და 5 ათასიანი საათი წაალიტეს.

როგორც ბრალმდებელმა ლიფტერისმა განაცხადა, მისტერ ფერდინანდმა 600-გირვანქიანი მობილური იმიტომ დათმო, რომ ერთ-ერთმა მძარცველმა პისტოლეტი ახსენა, მოკლედ სროლით დაემუქრა.

ახლა კი იმის შესახებ ვთქვათ, თუ საიდან გაიგეს გაძარცულებმა და პოლიციამ თავდამსხმელთა ვინაობა. საქმე ის არის, რომ საფეხბურთო სამყარო ინგლისისხელა ქვეყანაშიც კი პატარაა: ზემოხსენებულმა რიო-კოკერმა მაკდაუელი მოედნიდან იცნო, მგასთან აღრე მითამაშიაო. შემდეგ კი ყველაფერი მარტივი გამოდგა, ინტერნეტში, კლუბის ვებგვერდში მძარცველის შესახებ, ცხადია, ყველაფერი ეწერა.

ასე დასრულდა ისტორია, რომლის ბოლო აკორდი მოსამართლის, სედრიკ ჯოზეფის სიტყვები გახლდათ: „მჯერა, რომ მისტერ მაკდაუელი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას სხვა დანაშაულებზე ნაკლები სასჯელი ერგება.“

სხვათა შორის, ლიონ მაკდაუელი პოლიციამ სათასო თამაშის დაწყებამდე 25 წუთით აღრე, პირდაპირ გასახდელში აიყვანა.

პაპუნა კედია



უეფას შარშანდელი მონაგარი

მოდით, ერთხელაც გავიხსენოთ 2005 წელი და გასული წლის სიმბოლურ ნაკრებზე ვთქვათ, რომელიც უეფამ თავისი ვებგვერდის წყალობით შეადგინა.

ყველაფერი მარტივად იყო — უეფამ ქომაგებს ნომინანტთა სია წარუდგინა, მსურველებს კი თითო პოზიციაზე საუკეთესოები უნდა აერჩიათ ხმის მიცემით.

უეფა ინტერნეტით ასეთ გამოკითხვას უკვე მეხუთე წელია აწყობს და... გულშემატკივრებმაც რეკორდი დაამყარეს — მილიონნახევარმა ქომაგმა მიიღო მონაწილეობა.

ხალხის თერთმეტი რჩეული მხოლოდ ხუთი კლუბის წარმომადგენელი გახდა, რომელთგანაც პროცენტულად ყველას „ბარსელონას“ ბრაზილიელმა ვარსკლავმა რონალდინიომ აჯობა. გასაკვირი არცაა, „კიჭამ“ ხომ შარშან თითქმის ყველაფერი მოიხვეჭა — მოიგო ფიფას კონფედერაციის თასი, გახდა მისი საუკეთესო ფეხბურთელი, მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და სუპერთასი, დაეუფლა „ოქროს ბურთს“ და ბოლოს ფიფას გალა-დაჯილდოებაზეც პირველობა არავის დაუთმო. მოკლედ, რონალდინიოს 90 295 ქომაგმა მისცა ხმა, რაც 72 პროცენტია.

დევიდ ფარელი, **www.uefa.com**-ის დირექტორი: „გამოდის, რომ გამოკითხვა ფაქტობრივად, ოთხი კლუბისთვის ჩატარდა, „ლივერპულის“, „მილანის“, „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ ფეხბურთელებმა ყველას აჯობეს“.

ბოლოს კი ვთქვათ, რომ რჩეულთა შორის ვერ მოხვდა ლონდონის „არსენალისა“ და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი ტიერი ანრი, მას იუვენტუსელმა პაველ ნედვედმა გადაუსწრო გზა.

გიორგი ვაშაკიძე

2005 წლის ევროპის სიმბოლური ნაკრები: ჩეხი (ჩელსი) — კაფუ (მილანი), ტერი (ჩელსი), პუიოლი (ბარსელონა), მალდინი (მილანი) — ლუის გარსია (ლივერპული), ჯერარდი (ლივერპული), რონალდინიო (ბარსელონა), ნედვედი (იუვენტუსი) — შევჩენკო (მილანი), ეტოო (ბარსელონა).

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ (ჩელსი).


ლუის გარსია ქომაგებმა დააფასეს

პორტუგალია

სუპერლიგა. XVIII ტური

ამადორა 2:1 პორტუ

1:0 მაურისიო (18), 2:0 რაფაელი (34), 2:1 ლუჩო გონსალესი (60)

პორტუ	18	12	4	2	30:12	40
ბენფიკა	18	11	4	3	28:12	37
ნასიონალი	18	11	4	3	25:11	37
ბრაგა	18	11	2	5	20:11	35
სპორტინგი	18	10	3	5	26:19	33
სეტუბალი	17	9	3	5	14:7	30
ამადორა	18	7	4	7	16:16	25
ლეირია	18	7	3	8	22:23	24 -
ბოავიშტა	17	5	8	4	21:18	23
მარიტიმუ	18	5	8	5	21:21	23
რიუ ავე	18	6	5	7	23:26	23
ჟილ ვისენტე	18	6	3	9	16:20	21
ფერეირა	18	6	3	9	20:26	21
ბელენენსეში	18	6	2	10	17:20	20
აკადემიკა	18	5	4	9	16:26	19
ნავალი	18	4	3	11	18:28	15
გიმარაეში	18	4	3	11	9:25	15
პენაფიელი	18	1	4	13	12:33	7

ესპანეთის ჩემპიონატის მეთვრამეტე ტურში, მადრიდის „რეალმა“ „სევილიას“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 4:2 მოუგო, ხოლო სამეფო თეთრების ფრანგმა გალაქტიკოსმა ზინედინ ზიდანმა ანდრეს პალოპის კარში 3 ბურთი გაიტანა. თითქოს ამაში სენსაციური და მოულოდნელი არაფერია. ყველამ იცის, დიადი ზიზუ მოედანზე გოლის შესაგდებად და მეტოქის გასამწარებლად რომ გადის, თუმცა...

მსოფლიოს ჩემპიონმა, ფიფას გამოკითხვით სამგზის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა, ოქროს ბურთის მფლობელმა, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა და არაერთი გოლის გამტანმა ლეგენდამ (დანარჩენ ჯილდოებზე რომ არაფერი ვთქვათ) 2006 წლის 15 იანვარს კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი მიითვალა

ამას ველოდი, მოვესწარ

ზინედინ ზიდანის პირველი ჰეთ თრიქი

პირადი წარმატებებით კმაყოფილი ვარ, ოღონდ ჩემთვის მთავარი გუნდის გამარჯვებააო — განუცხადა ზიდანმა მასთან მისალოცად მისულ მადრიდული „ასის“ კორესპონდენტს.

— კმაყოფილი ხართ, სამი გოლი რომ გაიტანეთ?

— ცხოვრებაში პირველად შევასრულე ჰეთ თრიქი. სრული 34 წელი დამჭირდა ამის მისაღწევად. ძალიან დიდხანს მომიწია ლოდინმა.

— თუმც ჰეთ თრიქით გამოწვეული სიხარული ალბათ ლოდინად ღირდა...

— მართალი რომ გითხრათ, არასოდეს მიფიქრია, ერთ თამაშში სამი და მეტი გოლი რატომ არ გამაქვსმეთქი. გოლი ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არ არის. „სევილიასთან“ სამი ბურთი შევაგდე, თუმცა უფრო მთავარი „რეალის“ გამარჯვებაა. გუნდი ახლა კარგად თამაშობს, კრიზისსაც თავი დავაღწიეთ და სამომავლოდაც მოგებებზე ფიქრია საჭირო.

— ბოლო ორ თამაშში „რეალის“ ქომაგებმა სამეფო გუნდის უხვგოლიანობით გული იჯერეს...

— ოთხშაბათს თასზე „ბილბაოს“ გავუტანეთ ოთხი ბურთი, კვირას კი ჩემპიონატში „სევილიას“ — ორი მატჩის ჯამში ეს სერიოზული ციფრია და ვფიქრობ, ჩვენი ინჩასები ფრიად ისიამოვნებდნენ. ახლა „კოპა დელ რეიზე“ „ბეტისთან“ რთული ჯახი გველის, მერე კი „კადისთან“ შეხვედრა გვიწევს. დარწმუნებული ვარ, ამ თამაშებში „რეალი“ ფანებს კიდევ უფრო კარგ თამაშს შესთავაზებს. ნელ-ნელა სამეფო გუნდს თავისი სიძლიერე დაუბრუნდება. ცოტა მოთმინებაა საჭირო.

— თქვენი აზრით, 2005-06 წლების სეზონში გუნდისთვის ყველაზე გადამწყვეტი დრო ახლა დადგა?

— სეზონში ყველაზე რთულ პერიოდს აქედან ვიწყებთ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩემპიონთა ლიგასთანაა დაკავშირებული. ჩვენებს სასუსტეს ვერ ვატყობ და თუ საკუთარი თავის რწმენას არ დავკარგავთ, ასეთი შემადგენლობით თავი არ უნდა შევირცხვინოთ...

— „სევილიასთან“ მატჩს დავუბრუნდეთ. ძალიან დაძაბული შეხვედრა გამოდგა, მეტოქეებს თავი არ დაუზოგავთ...

— თამაში რომ მართლაც ბოლო წამამდე გრძელდება, „რეალმა“ დამატებულ დროში გოლის გატანით დაამტკიცა. იქამდე „სევილიამ“ ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა და ჩვენ თუ მოვდუნდებოდით გაათანაბრებდნენ კიდეც. აი, ეს კი, ჩვენი სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ფიასკოს ტოლფასი იქნებოდა.

— კრიზისის დაძლევა ახსენეთ. ანუ „რეალს“ დიდ გამოცოცხლებას ატყობთ?

— ახლა გუნდს სასაყვედურო არაფერი ეთქმის. რაც აქამდე დაგვემართა, მართლა სისულელე იყო და ჩვენი გულშემატკივრების რისხვაც არ მიკვირს. თუმც ინჩასებისა და მთელი მსოფლიოს გასაგონად ვიტყვი, რომ თითოეული ჩვენგანი „რეალის“ სასიკეთოდ მაქსიმალურად გაირჯება. ოღონდ, კიდევ გავიმეორებ, საკუთარი ძალების რწმენაა საჭირო. „სევილიასთან“ მოგება ჯერ არაფერს ნიშნავს, მთავარი ბრძოლები წინაა.

ზინედინ ზიდანის გოლები ჩემპიონატში

2001-02: 31 მატჩში 7 გოლი
2002-03: 33 მატჩში 9 გოლი
2003-04: 33 მატჩში 6 გოლი
2004-05: 29 მატჩში 6 გოლი
2005-06: 13 მატჩში 7 გოლი

დანარჩენს მოკვლევა დაადგენს

ვარიაცია მაიმუნის თემაზე: შიშველი შავი ქალი ეთნოგრაფიაა, შიშველი თეთრი ქალი პორნოგრაფია

სამუელ ეტოო ხავიერ კლემენტეს შემოელანძღა

ბარსელონელმა სამუელ ეტოომ „რადიო მარკასთან“ ინტერვიუში თქვა, ბილბაოელ უნაი ექსპოზიტოსთვის არ შემიფურთხებია, თუმცა იმის გამო, რაც „კამპ ნოუზე“ თამაშის ბოლო წუთზე მოხდა, მაინც ბოდიშს ვიხდიო.

„უნაისთან ბრალი არაფერში მიმიძღვის. როცა დეკოსა და გურპეგს შორის ჩხუბი ატყდა, მართლაც გადავაფურთხე, ოღონდ არა ექსპოზიტოს მისამართით. ის კი იმ დროს მოულოდნელად გადმომიხტა და „სამიზნეც“ იმიტომ აღმოჩნდა... დამნაშავე არ ვარ, მაგრამ თუ ექსპოზიტომ ეს შემთხვევითობა შეურაცხყოფად მიიღო, პატიებას ვთხოვ“ — განაცხადა კატალონიური გრანდის აფრიკელმა მოიერიშემ.

„ბარსა“ — „ბილბაოს“ ბიჭებმა საკვირაო თამაშის ბოლო წუთებზე დასცხეს ერთმანეთს — გურპეგიმ დეკო წააქცია და პორტუგალიელის რეაქციამაც არ დააყოვნა. ჩხუბში ორივე გუნდის ფეხბურთელები ჩაერივნენ და ექსპოზიტო ეტოოსგან მაშინ დაზარლდა.

„ვინც მოედანზე სხვას შეაფურთხებს, ხიდან ახლად ჩამოსულ მაიმუნს დავუძახებ“ — განრისხებით უთხრა „ბილბაოს“ მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ სპორტულ მედიას. მერე ბასკმა დამრიგებელმა „მაიმუნის“ ანუ შემფურთხებლის ვინაობა შეიტყო და ადრე ნათქვამს შემკრთალმა დაუმატა — მაიმუნი და ხე-ტყე ზოგადად უზრდელობის გამო ვახსენე, რასიზმი აქ არაფერ შუაშიაო (ევროპაში შავკანიანისთვის მაიმუნის დაძახება ყურს ერთობ ჭრის). თავად კამერუნელი ეტოო კი აცხადებს, კლემენტე მატჩის მერე ვნახე და შემაქო კიდეც, — მოჩხუბრებს აშველებდიო.

მოკლედ, ვინ შეაქქეს და ვინ გაილანძღა, უახლოეს ხანში გაირკვევა.

ლადო ხომერიკი

აფრიკის ეროვნებათა თასი. ეგვიპტე 2006. 20 იანვარი — 10 თებერვალი

პარასკევს, 20 იანვარს, ეგვიპტეში აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშება დაიწყება, 10 თებერვალს კი ამ თასის 25-ე მფლობელი გახდება ცნობილი. ჯილდოსთვის ოთხ ჯგუფში განაწილებული 16 გუნდი იბრძოლებს. დღეიდან ვიწყებთ მონაწილეთა წარდგენას. ცხადია, პირველად A ჯგუფს გაგაცნობთ, რომელშიც მასპინძელი ეგვიპტე, კოტ დივუარი, ლიბია და მაროკო შეყარა წილისყრამ, ყურებამდე გაღიმებული ნიანგი კი ტურნირის თილისმაა.

ეგვიპტე

ნაკრების მეტსახელი: ფარაონები

მწვრთნელი: ჰასან შეჰატა

- *ადგილი ფიფას რეიტინგში — 32*
- *ადგილი კონფედერაციის რეიტინგში — 5*
- *ეროვნებათა თასის ოთხგზის მფლობელი — 1957, 1959, 1986, 1998*
- *ერთგზის ვერცხლოსანი — 1962*
- *სამგზის ბრინჯაოსანი — 1963, 1970, 1974*

„ტოტენჰემის“ მეგოლე აჰმედ ჰოსამ მიდოს მიაჩნია, რომ აფრიკის ეროვნებათა თასის ფინალში ეგვიპტე და კოტ დივუარი შეხვდებიან.

22 წლის ფეხბურთელმა დაასკვნა — რაკი მისი ქვეყანა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, ახლა ვალდებულია, ეს ტურნირი მოიგოს და მეხუთედ დაისაკუთროს აფროთასი.

ეგვიპტურმა მედიამ მწვრთნელს კრიტიკა დაატეხა ზოგიერთი ძლიერი ფეხბურთელის გამოუძახებლობის გამო, მიდო კი სხვაგვარად ფიქრობს: „ჩვენ შინ ვთამაშობთ და უპირატესობა უნდა გამოვიყენოთ. გვყავს ძლიერი ნაკრები, რომელსაც ამ ტურნირში პირველობა ნაღდად შეუძლია, თუმც ისიც უნდა ვთქვა, რომ კოტ დივუარი ამჟამად, ალბათ ყველაზე უკეთ მომზადებული გუნდია კონტინენტზე, თან მათ დიდიე დროგბა ჰყავთ.“

მეკარეები

ესამ ალ-ჰადარი (ალ აჰლი)
აბდელვაჰედ ალ-საიედი (ზამალეკი)
მოჰამედ მონსეფი (ზამალეკი)

მცველები

აჰმედ ალ-საიედი (ალ აჰლი)
ვაელ გომაა (ალ აჰლი)
მოჰამედ აბდელვაჰაბი (ალ აჰლი)
იბრაჰიმ საიდი (ზამალეკი)
ტარეკ ალ-საიედი (ზამალეკი)
აჰმედ ფათი (ისმაილია)
აბდელზაჰერ ალ-საქა (ქონიასფორი, თურქეთი)

ნახევარმცველები

მოჰამედ შავკი (ალ აჰლი)
მოჰამედ ბარაქათი (ალ აჰლი)
მოჰამედ აბუტრაიკა (ალ აჰლი)
ჰასან მოსტაფა (ალ აჰლი)
აჰმედ ჰასანი (ბეშიქთაში, თურქეთი)
ჰოსნი აბედ რაბო (სტრასბური, საფრანგეთი)
აჰმედ ეიდ აბდელმალეკი (ჰარას ალ-ჰოდუდი)

თავდამსხმელები

აჰმედ ჰოსამ მიდო (ტოტენჰემი, ინგლისი)
ემად მოტეაბი (ალ აჰლი)
ოსამა ჰოსნი (ალ აჰლი)
აბდელჰალიმ ალი (ზამალეკი)
ჰოსამ ჰასანი (ალ-ნასრი)
ამირ ზაკი (ენპი)

კოტ დივუარი

ნაკრების მეტსახელი: სპილოები

მწვრთნელი: ანრი მიშელი

- *ადგილი ფიფას რეიტინგში — 42*
- *ადგილი კონფედერაციის რეიტინგში — 7*
- *ეროვნებათა თასის მფლობელი — 1992*
- *ოთხგზის ბრინჯაოსანი — 1965, 1968, 1986, 1995*

დიდიე დროგბამ, მეტსახელად „ტიტომ“, ცხრა გოლი გაიტანა შესარჩევ მატჩებში და მისი წყალობით, „სპილოები“ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ. „ჩელსის“ ფორვარდმა განაცხადა: “ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ და ამბიცია მოგვეძალა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამ ტურნირში გამარჯვების ბრწყინვალე შანსი გვაქვს. თავის მხრივ, ეროვნებათა თასის გათამაშება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოგვადგება“.

კოტ დავუარი, რომლის ფეხბურთელებიც ინგლისის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების ლიგებში თამაშობენ, აშკარა ფავორიტია. მხოლოდ ერთი — მეკარე ჟან-ჟაკ ტიზეია აფრიკაში, ტუნისის „ესპერანსში“ ჩარჩენილი, დანარჩენები კი ბებერ კონტინენტზე დანავარდობენ. ასეთი ნაკრებით ანრი მიშელს ფინალამდე მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს.

მეკარეები

ჟან-ჟაკ ტიზიე (ესპერანსი, ტუნისი)
ჟერარ გრანონი (მონპელიე, საფრანგეთი)
ბუბაქარ ბარი (ბევერენი, ბელგია)

მცველები

სირილ დომორო (კრეტეი, საფრანგეთი)
ბლეიზი კუასი (ტრუა, საფრანგეთი)
აბდულაიე მეიტე (მარსელი, საფრანგეთი)
ეტინე ბოკა (სტრასბური, საფრანგეთი)
კოლო ტურე (არსენალი, ინგლისი)
ემანუელ ებუ (არსენალი, ინგლისი)
მარკ ზორო კპოლო (მესინა, იტალია)

ნახევარმცველები

სიაკა ტიენე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი)
დიდიე ზოკორა (სენტ ეტიენი, საფრანგეთი)
ემერს ფაე (ნანტი, საფრანგეთი)
ჟილ იაპი იაპო (ნანტი, საფრანგეთი)
კანგა აკალე (ოსერი, საფრანგეთი)
ნდრი კოფი (ლე მანი, საფრანგეთი)
გაი დემელი (ჰჰამბურგი, გერმანია)
ჟენერი ტურე (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი)

თავდამსხმელები

არუნა დინდანე (ლანსი, საფრანგეთი)
ბაკარი კონე (ნიცა, საფრანგეთი)
დიდიე დროგბა (ჩელსი, ინგლისი)
არუნა კონე (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
ბონავენტურე კალუ (პსჟ, საფრანგეთი)

ლიბია

ნაკრების მეტსახელი: მწვანეები

მწვრთნელი: ილია ლონჩარევიჩი

- *ადგილი ფიფას რეიტინგში — 80*
- *ადგილი კონფედერაციის რეიტინგში — 17*
- *ეროვნებათა თასის ერთგზის ვერცხლოსანი — 1982*

ლიბია ჯგუფის აუტსაიდერადაა „მონათლული“, თუმც აფრიკული სანაკრებო ფეხბურთი ზოგჯერ ლოგიკას არ ექვემდებარება.

ლიბიელებმა მეორედ გააღწიეს აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშებაში. აღსანიშნავია, რომ პირველივე ჯერზე, 1982 წელს ფინალში გაძვრნენ და დამარცხდნენ.

ულვაშა ხორვატი მწვრთნელი ილია ლონჩარევიჩის გუნდი სამ ფეხბურთელზეა (ნადერ კარა, აჰმედ ელ მასლი და ტარეკ ელ ტაიბი) აწყობილი.

ლიბიამ პირველი ოფიციალური სანაკრებო შეხვედრა 1953 წელს სტუმრად ეგვიპტესთან გამართა და 10:2 დამარცხდა. ესაა ლიბიელთა უდიდესი ანგარიშით წაგება და, ცხადია, მასპინძლებთან ერთგვარი რევანშის აღებას ამჯერად ეცდებიან, გახსნის მატჩში ხომ სწორედ ეს გუნდები დაეჯახებიან ერთმანეთს. ილია ლონჩარევიჩი კოტ დივუარს ვერ შეედრება ლეგიონერების სიუხვით. მისი მეკარე ლუის დე აგუსტინი „ლივერპულში“ თამაშობს, მაგრამ ეს ურუგვაის „ლივერპულია“.

მაროკო

ნაკრების მეტსახელი: ატლასის ლომები

მწვრთნელი: მოჰამედ ფაკირი

- *ადგილი ფიფას რეიტინგში — 36*
- *ადგილი კონფედერაციის რეიტინგში — 6*
- *ეროვნებათა თასის მფლობელი — 1976*
- *ერთგზის ვერცხლოსანი — 2004*

მაროკო აფრიკის კონტინენტზე ერთ-ერთი ლიდერთაგანია და მოჰამედ ფაკირის გუნდიც ამ ტურნირის ფავორიტთა შორისაა.

ფაკირი მოულოდნელად გახდა ნაკრების მწვრთნელი, რადგან მაროკოელთა ფრანგი თავკაცი ფილიპ ტრუსიე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას გაუწყრა და პოსტი დატოვა. არადა, ტრუსიემ სულ ორ თვეს იმუშავა მაროკოელთა მწვრთნელად.

მოჰამედ ფაკირიმ ნაკრებში უხმო 35 წლის მცველ ნურედინ ნაიბეტს, რასაც თავად „ტოტენჰემის“ ლეგიონერი არ ელოდა. ნაიბეტმა ითამაშა თასის წინა (2004) გათამაშების ფინალში, სადაც მაროკო ტუნისთან 1:2 დამარცხდა. ახალი მწვრთნელის ხელში გუნდმა ამხანაგურ მატჩებში სძლია დემოკრატიულ კონგოს 3:0, ზიმბაბვეს კი — 1:0.

A ჯგუფი

20 იანვარი	24 იანვარი
ეგვიპტე — ლიბია	ეგვიპტე — მაროკო
21 იანვარი	28 იანვარი
მაროკო — კოტ დივუარი	ეგვიპტე — კოტ დივუარი
24 იანვარი	28 იანვარი
ლიბია — კოტ დივუარი	ლიბია — მაროკო

მეკარეები

ლუის დე აგუსტინი (ლივერპული, ურუგვაი)
მუფტა ღზალა (ალ იტიჰადი)
სამირ აბუდი (ალ იტიჰარი)

მცველები

იუნეს ალ-შიბანი (ოლიმპიკი)
ესამ რაგაბი (ოლიმპიკი)
ვალიდ ოსმანი (ალ იტიჰადი)
ოსამა ჰამადი (ალ იტიჰადი)
ნაჯი შუშანი (ალ იტიჰადი)
მაჰმუდ მახლუფი (ალ იტიჰადი)
ომარ დაუდი (კაბილი, ალჟირი)
მადი ალ-ფიტორი (ალ-ჰილალი)

ნახევარმცველები

ჯიჰად ალ-მონტასერი (ტრევიზო, იტალია)
აბდელნასერ სალელი (ალ იტიჰადი)
მარეი სულიმანი (ალ იტიჰადი)
აბდელსალამ ხამისი (ოლიმპიკი)
ნადერ ალ-ტარჰუნი (ალ-საილია, ყატარი)
ხალედ ჰუსიენი (ალ-ნასრი)
ტარეკ ალ-ტაიბი (გაზიანთეფსფორი, თურქეთი)
აჰმედ ოსმანი (ალ აჰლი)

თავდამსხმელები

სალემ რევანი (ალ იტიჰადი)
ნადერ კარა (ალ იტიჰადი)
აჰმედ ალ-მასლი (ალ იტიჰადი)
აჰმედ ზუვაი (ალ აჰლი)

მეკარეები

ტარეკ ჟარმუნი (რაბატი)
მუსტაფა ჩადლი (მოღრებ ტეტუანი)
ნადირ ლამიაღრი (ვიდად კასაბლანკა)

მცველები

ნურედინ ნაიბეტი (ტოტენჰემი, ინგლისი)
ტალალ ელ-კარკური (ჩარლტონი, ინგლისი)
აბდესლამ უადუ (რენი, საფრანგეთი)
ჰუსინ უჩელა (ფარი)
ვალიდ რეგრაგი (რასინგი, ესპანეთი)
ბადრ ელ-კადური (დინამო, უკრაინა)
ნურედინ კასემი (გრენობლი, საფრანგეთი)

ნახევარმცველები

იუსუფ საფრი (ნორვიჩი, ინგლისი)
ჰუსინ ხარჯა (რომა, იტალია)
ჰაფიდ აბდესადეკი (ფარი)
იუსუფ ჩიპო (ალ-ვაკრა, ყატარი)
მოჰამედ მადიჰი (ვიდად კასაბლანკა)
ალ-ამინ ერბატი (ალ-ვაკრა, ყატარი)

თავდამსხმელები

მოჰამედ იაკუბი (ოსასუნა, ესპანეთი)
ჯიად ზაირი (სოშო, საფრანგეთი)
მარუან შამახი (ბორდო, საფრანგეთი)
ალი ბუსაბუნი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)
ჰიჩამ აბუშერუნი (ლილი, საფრანგეთი)
მოჰამედ არმუმენი (ალ-კუვაიტი, ქუვეითი)
იუსუფ ჰაჯი (რენი, საფრანგეთი)

სარგებელი ტოტალიზატორ კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. I ლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 იანვარი						
23:45	26	კოლჩესტერი-ბრისტოლი	1.75	3.30	4.40	1.14	1.25	1.88
23:45	27	ბრენტფორდი-ნოტინგემი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60

ინგლისი. II ლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 იანვარი						
23:30	41	დარლინგტონი-გრიმსბი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
23:45	42	შრიუსბერი-მენსფილდი	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
		18 იანვარი						
23:45	43	ბოსტონი-კარლაილი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44

ინგლისი. კონფერენსი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 იანვარი						
23:45	58	უოკინგი-ალდერშოტი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50

შოტლანდია. პრემიერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		21 იანვარი						
19:00	70	ფოლკირკი-ინვერნესი	2.60	3.00	2.40	1.39	1.24	1.33
19:00	71	კილმარნოკი-ჰართსი	3.20	3.00	2.00	1.54	1.23	1.20
19:00	73	ჰიბერნიანი-დანფერმლაინი	1.40	3.80	5.70	1.02	1.12	2.27
19:00	74	დანდი იუნ.-აბერდინი	2.20	3.00	2.80	1.26	1.23	1.44
19:00	75	რეინჯერსი-ლივინგსტონი	1.15	5.20	10.00	1.00	1.03	3.42
		22 იანვარი						
18:00	77	მოზერუელი-სელტიკი	6.00	3.70	1.40	2.28	1.13	1.01

იტალია. სერია A

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		18 იანვარი						
23:30	103	ტრევიზო-ინტერი	8.50	3.80	1.40	2.62	1.20	1.02
23:30	105	სამპდორია-ფიორენტინა	2.45	2.90	2.95	1.32	1.33	1.46
23:30	106	მესინა-ლაციო	2.55	2.90	2.85	1.35	1.34	1.43
23:30	107	რომა-რეჯინა	1.50	3.50	7.40	1.04	1.24	2.37
23:30	108	პალერმო-პარმა	1.75	3.20	4.80	1.13	1.28	1.91
23:30	109	ლეჩე-ლივორნო	3.00	2.90	2.40	1.47	1.33	1.31
23:30	110	მილანი-ასკოლი	1.15	5.80	15.00	1.00	1.06	4.18
23:30	112	ემპოლი-უდინეზე	2.55	2.90	2.85	1.35	1.34	1.43
23:30	113	კიევო-იუვენტუსი	5.50	3.30	1.65	2.06	1.26	1.10
23:30	115	კალიარი-სიენა	2.10	2.90	3.70	1.21	1.33	1.62

იტალია. სერია B

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 იანვარი						
23:30	128	კატანია-ჩეზენა	1.90	2.90	4.10	1.14	1.29	1.69
23:30	129	ბოლონია-ვერონა	2.20	2.80	3.30	1.23	1.32	1.51
23:30	130	კრემონეზე-ალბინოლეფე	2.20	2.80	3.30	1.23	1.32	1.51
23:30	131	კროტონე-მოდენა	2.15	2.80	3.30	1.21	1.30	1.51
23:30	132	აველინო-კატანძარო	1.75	3.00	4.60	1.10	1.26	1.81
23:30	133	ატალანტა-პიაჩენცა	1.60	3.10	6.00	1.05	1.26	2.04
23:30	134	ტერნანა-ტრიესტინა	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42
23:30	135	მანტოვა-ბარი	1.60	3.10	6.00	1.05	1.26	2.04
23:30	136	ვიჩენცა-პესკარა	2.20	2.80	3.30	1.23	1.32	1.51
		18 იანვარი						
23:30	137	ტორინო-არეცო	1.70	3.10	4.80	1.09	1.25	1.88
23:30	138	რიმინი-ბრეშა	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42

ესპანეთი
I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		21 იანვარი						
23:00	178	სარაგოსა-ატლეტიკო	1.95	3.10	3.40	1.19	1.23	1.62
23:45	179	რეალი-კადისი	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
		22 იანვარი						
20:00	169	ხეტაფე-ესპანიოლი	2.00	3.10	3.30	1.21	1.24	1.59
20:00	170	დეპორტივო-მალიორკა	1.45	3.60	6.00	1.03	1.16	2.25
21:00	171	მალაგა-სელტა	2.30	3.00	2.80	1.30	1.26	1.44
22:00	172	ბარსელონა-ალავესი	1.15	6.70	13.00	1.00	1.05	4.42
20:00	174	ბეტისი-ვალენსია	2.95	3.00	2.20	1.48	1.26	1.26
20:00	175	ვილიარეალი-ოსასუნა	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
23:45	176	სოსიედადი-ბილბაო	1.90	3.10	3.60	1.17	1.24	1.66
20:00	177	რასინგი-სევილია	2.50	3.00	2.60	1.36	1.27	1.39

საფრანგეთი
I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		21 იანვარი						
20:15	192	აიაჩო-მარსელი	3.30	3.00	2.00	1.57	1.24	1.20
23:00	193	ბორდო-სტრასბური	1.45	3.70	6.00	1.04	1.16	2.28
23:00	194	სოშო-სტ.ეტიენი	2.30	2.90	2.85	1.28	1.27	1.43
23:00	195	რენი-ნანსი	1.75	3.20	3.80	1.13	1.19	1.73
23:00	196	ტულუზი-ლილი	2.50	2.70	2.80	1.29	1.32	1.37
23:00	197	ტრუა-ლე მანი	2.00	2.90	3.30	1.18	1.24	1.54
23:00	198	ნიცა-პსჟ	2.70	2.80	2.40	1.37	1.27	1.29
23:00	200	მეცი-ნანტი	2.40	2.80	2.75	1.29	1.28	1.38
		22 იანვარი						
21:00	201	ლანსი-მონაკო	2.00	2.90	3.30	1.18	1.24	1.54
23:45	202	ლიონი-ოსერი	1.50	3.40	5.50	1.04	1.17	2.10

ინგლისი. თასი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 იანვარი						
23:45	323	ლიდსი-უიგანი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
23:45	324	ბირმინგემი-ტორკი	1.15	6.30	14.00	1.00	1.06	4.34
23:45	325	ჩესტერი-ჩელტენემი	2.25	3.20	2.95	1.32	1.27	1.53
23:45	326	ტემუორთი-სტოკი	5.50	3.40	1.60	2.10	1.23	1.08
23:45	327	უოლსოლი-ბარნსლი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
23:45	328	რედინგი-ვესტ ბრომვიჩი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
23:45	329	მიდლსბრო-ნანიტონი	1.06	7.50	18.00	1.00	1.00	5.29
		18 იანვარი						
23:45	330	ევერტონი-მილუოლი	1.35	4.00	8.50	1.00	1.16	2.72
23:45	554	მანჩესტერი-ბარტონი	1.03	8.00	25.00	1.00	1.00	6.06

შოტლანდია. თასი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 იანვარი						
23:45	332	ჰამილტონი-ქუინი	1.45	4.00	5.50	1.06	1.14	2.31

ესპანეთი. თასი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		18 იანვარი						
23:00	333	სარაგოსა-ატლეტიკო	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
23:00	562	კადისი-ესპანიოლი	2.30	3.10	2.90	1.32	1.28	1.49
23:45	563	ბეტისი-რეალი	3.55	3.20	2.00	1.68	1.27	1.23
23:45	564	დეპორტივო-ვალენსია	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		საფრანგეთი. თასი						
		17 იანვარი						
23:00	334	გენგამი-ლე მანი	3.00	2.80	2.45	1.44	1.34	1.30
23:45	335	ნიცა-ბორდო	2.55	2.70	2.80	1.31	1.33	1.37
		18 იანვარი						
20:00	336	ნანსი-აიაჩო	1.75	3.00	5.10	1.10	1.30	1.88
23:45	337	ტულუზი-მონაკო	3.00	2.80	2.45	1.44	1.34	1.30
		საბერძნეთი. თასი						
		17 იანვარი						
21:00	338	ეგალეო-აკრატიტოსი	1.60	3.20	5.50	1.06	1.23	2.02
		თანამეგობრობის თასი						
		17 იანვარი						
14:00	555	კაუნასი-შახტიორი სლ	2.00	3.10	3.30	1.21	1.24	1.59
14:00	556	პიუნიკი-რუსეთი(19)	1.55	3.60	4.85	1.08	1.17	2.06
18:00	557	შახტარი-მტტუ	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
18:00	558	შერიფი-დორდოი	1.25	4.80	8.00	1.00	1.08	3.00
16:00	559	ნეფჩი-აკტობე	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92
16:00	560	მეტალურგი ლ-ვახში	1.15	6.00	10.00	1.00	1.03	3.75
20:00	561	ცსკა-პახტაკორი	2.35	2.90	2.85	1.29	1.28	1.43
		ჰოკეი. შვედეთი						
		17 იანვარი						
22:00	450	ლულეო-სიოდერტელიე	1.55	4.50	3.50	1.15	1.07	1.96
22:00	451	იურგორდენი-ტიმრე	1.70	4.40	2.65	1.22	1.03	1.65
22:00	452	ფრიოლუნდა-ფერიესტადი	1.70	4.40	2.65	1.22	1.03	1.65
		ჰოკეი. ფინეთი						
		17 იანვარი						
20:30	469	ესპოო-ჰელსინკი	2.10	4.10	2.10	1.38	1.04	1.38
20:30	470	კერპეტი-ტურკუ	1.50	4.40	3.50	1.11	1.04	1.94
		19 იანვარი						
20:30	471	ტურკუ-ილვესი	1.85	4.20	2.50	1.28	1.06	1.56
20:30	472	კერპეტი-პელიკანსი	1.25	5.00	5.30	1.00	1.01	2.57
20:30	473	სეიპა-ჰაამეენლინა	2.25	4.10	2.05	1.45	1.07	1.36
20:30	474	ესეტი-კალპა	1.40	4.50	4.20	1.06	1.04	2.17
20:30	475	ტაპარა-იუვესკიულე	1.70	4.20	2.60	1.21	1.02	1.60
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		17 იანვარი						
20:00	492	ტრენჩინი-უილინა	1.50	4.30	3.60	1.11	1.05	1.95
20:00	493	ზვოლენი-კოშიცე	1.95	4.00	2.35	1.31	1.06	1.48
20:00	494	სკალიცა-მიკულაში	1.60	4.30	3.30	1.16	1.07	1.86
20:00	495	ნიტრა-პოპრადი	1.80	4.20	2.60	1.25	1.06	1.60
21:30	496	სლოვანი-მარტინი	1.35	4.50	5.00	1.03	1.06	2.36
		ჰოკეი. გერმანია						
		17 იანვარი						
22:30	502	კასელი-აუგსბურგი	2.00	4.30	2.35	1.36	1.08	1.51
22:30	503	მანჰაიმი-კიოლნი	2.05	4.20	2.30	1.37	1.08	1.48
22:30	504	ფრანკფურტი-დუისბურგი	1.50	4.50	3.50	1.12	1.04	1.96
22:30	505	კრეფელდი-ჰანოვერი	2.00	4.20	2.35	1.35	1.08	1.50
22:30	506	ჰამბურგი-აისბარენი	2.05	4.20	2.25	1.37	1.07	1.46
22:30	507	ნიურნბერგი-დიუსელდორფი	1.95	4.30	2.40	1.34	1.07	1.54
22:30	508	ინგოლშტადი-იზერლონი	1.40	4.50	4.20	1.06	1.04	2.17
		ჰოკეი. შვეიცარია						
		17 იანვარი						
22:45	521	ციურიხი-კლოტენი	2.00	4.20	2.35	1.35	1.08	1.50
		19 იანვარი						
22:45	522	ციურიხი-ცუგი	1.85	4.30	2.60	1.29	1.08	1.62
		ჰოკეი. რუსეთი						
		18 იანვარი						
17:30	536	მოლოტი-მვდ	2.10	4.10	2.30	1.38	1.09	1.47
15:30	537	ნოვოკუზნეცკი-სიბირი	1.85	4.30	2.55	1.29	1.07	1.60
18:30	538	ლადა-ხიმიკი	2.35	4.20	2.00	1.50	1.08	1.35
19:30	539	ლოკომოტივი-სევერსტალი	1.40	4.70	4.50	1.07	1.06	2.29
16:30	540	ავანგარდი-სპარტაკი	1.30	4.60	5.30	1.01	1.04	2.46
19:30	541	აკ ბარსი-ს.იულაევი	1.40	4.60	4.50	1.07	1.06	2.27
17:30	542	მაგნიტოგორსკი-ასკ	1.20	4.80	6.50	1.00	1.01	2.76
20:00	543	ცსკა-დინამო	2.00	4.20	2.35	1.35	1.08	1.50
19:30	544	ვიტიაზი-ნეფტეხიმიკი	1.90	4.30	2.50	1.31	1.07	1.58

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პროპოს" ბიუროებმა ზესტაფონში (გ. ჭანტურიას 150), ქუთაისსა (ცისფერყანწელების 4) და ოზურგეთში (იოანე პეტრიწის 3) უკვე განაახლეს მუშაობა, ხოლო თელავის ბიურო (ერეკლე მეორის 6, ქალაქის მერიასთან) მუშაობას განაახლებს 17 იანვრიდან

ინგლისი. პრემიერლიგა. ჩემპიონი
14 იანვარი

16:45	9001	ჩელსი	1.01
16:45	9001	მანჩესტერი	13.00
16:45	9001	არსენალი	38.00
16:45	9001	ლივერპული	18.00
16:45	9001	ტოტენჰემი	72.00

გერმანია. I ბუნდესლიგა. ჩემპიონი
28 იანვარი

18:30	9003	ჰერტა	26.00
18:30	9003	შალკე	21.00
18:30	9003	ბაიერნი	1.10
18:30	9003	ვერდერი	10.00
18:30	9003	ჰამბურგი	9.00

იტალია. სერია A. ჩემპიონი
14 იანვარი

21:00	9004	ლაციო	121.00
21:00	9004	იუვენტუსი	1.16
21:00	9004	მილანი	5.50
21:00	9004	ინტერი	6.00
21:00	9004	სამდორია	91.00
21:00	9004	ფიორენტინა	45.00
21:00	9004	რომა	100.00

შოტლანდია
პრემიერლიგა
ჩემპიონი
14 იანვარი

19:00	9002	სელტიკი	1.05
19:00	9002	ჰარტი	7.00
19:00	9002	რეინჯერსი	26.00
19:00	9002	პიბერნიანი	35.00

ესპანეთი. I დივიზიონი. ჩემპიონი
14 იანვარი

23:00	9005	ვალენსია	12.00
23:00	9005	ბარსელონა	1.06
23:00	9005	რეალი	8.00
23:00	9005	სევილია	85.00
23:00	9005	დეპორტივო	30.00
23:00	9005	ვილიარეალი	30.00
23:00	9005	ესპანიოლი	25.00
23:00	9005	ატლეტიკო	65.00

ჩემპიონთა ლიგა 21 თებერვალი

23:45	9008	ინტერი	9.00
23:45	9008	არსენალი	14.00
23:45	9008	ლიონი	10.00
23:45	9008	რეალი	14.00
23:45	9008	იუვენტუსი	5.50
23:45	9008	მილანი	9.00
23:45	9008	ბენფიკა	50.00
23:45	9008	ლივერპული	13.00
23:45	9008	რეინჯერსი	90.00
23:45	9008	ბაიერნი	13.00
23:45	9008	ვილიარეალი	25.00
23:45	9008	პსვ	45.00
23:45	9008	აიაქსი	55.00
23:45	9008	ვერდერი	55.00
23:45	9008	ჩელსი	5.80
23:45	9008	ბარსელონა	5.20

უეფას თასი. 15 თებერვალი

23:45	9009	თასი	ბასელი	70.00
23:45	9009	თასი	ლიტექსი	100.00
23:45	9009	თასი	სევილია	15.00
23:45	9009	თასი	ალკმაარი	13.00
23:45	9009	თასი	ჰერტა	19.00
23:45	9009	თასი	მონაკო	13.00
23:45	9009	თასი	სტრასბურგი	40.00
23:45	9009	თასი	ბიღლტონი	19.00
23:45	9009	თასი	სლავია	80.00
18:00	9009	თასი	რეფუბლიკა	90.00
18:00	9009	თასი	თენი	100.00
23:45	9009	თასი	ჯერონა	80.00
23:45	9009	თასი	ლიგენი	85.00
18:00	9009	თასი	ჰერტოლა	65.00
23:45	9009	თასი	ლოკომოტივი(ს)	26.00
18:00	9009	თასი	შალკე	11.00
23:45	9009	თასი	რომა	15.00
23:45	9009	თასი	შახტარი	17.00
23:45	9009	თასი	მიდლსბრო	16.00
23:45	9009	თასი	სტიაუა	30.00
23:45	9009	თასი	ესპანიოლი	25.00
18:00	9009	თასი	ბრიუგე	55.00
23:45	9009	თასი	ხენტი	35.00
23:45	9009	თასი	ლანსი	30.00
23:45	9009	თასი	რაპიდი	80.00
23:45	9009	თასი	ჰამბურგი	8.50
23:45	9009	თასი	მარსელი	17.00
23:45	9009	თასი	ბალერმო	20.00
23:45	9009	თასი	შტუტგარტი	20.00
18:00	9009	თასი	ბეტისი	17.00
18:00	9009	თასი	ვალენსია	16.00
18:00	9009	თასი	ლილი	21.00

მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

18:00	9012	იაპონია	130.00
18:00	9012	ესპანეთი	12.00
18:00	9012	ავსტრალია	80.00
18:00	9012	ჰოლანდია	75.00
18:00	9012	ხორვატია	50.00
18:00	9012	ეკვადორი	45.00
18:00	9012	მექსიკა	40.00
18:00	9012	შვედეთი	28.00
18:00	9012	ტუნისი	280.00
18:00	9012	პორტუგალია	18.00
18:00	9012	აშშ	95.00
18:00	9012	არგენტინა	9.00
18:00	9012	იტალია	8.50
18:00	9012	გერმანია	7.50
18:00	9012	ინგლისი	6.50
18:00	9012	ბრაზილია	3.70
18:00	9012	შვეიცარია	100.00
18:00	9012	ნიგერია	25.00
18:00	9012	ტოგო	290.00
18:00	9012	პოლონეთი	15.00
18:00	9012	კოტ დივარი	80.00
18:00	9012	ს.არაბეთი	600.00
18:00	9012	საფრანგეთი	10.00
18:00	9012	ანგოლა	380.00
18:00	9012	სერბეთი	100.00
18:00	9012	კორეა	250.00
18:00	9012	განა	190.00
18:00	9012	პარაგვაი	130.00
18:00	9012	ეკვადორი	120.00
18:00	9012	ტრინიდადი	800.00
18:00	9012	კოსტა რიკა	500.00
18:00	9012	ირანი	450.00

მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

ჯგუფი A 9101		ჯგუფი B 9102		ჯგუფი C 9103		ჯგუფი D 9104		ჯგუფი E 9105		ჯგუფი F 9106		ჯგუფი G 9107		ჯგუფი H 9108	
18:00	კოსტა რიკა 15.00	18:00	ინგლისი 1.45	18:00	სერბეთი 9.00	18:00	ანგოლა 12.00	18:00	აშშ 7.00	18:00	ხორვატია 6.20	18:00	საფრანგეთი 1.30	18:00	ესპანეთი 1.50
18:00	გერმანია 1.35	18:00	შვედეთი 3.10	18:00	არგენტინა 1.95	18:00	ირანი 10.00	18:00	იტალია 1.65	18:00	ავსტრალია 12.00	18:00	შვეიცარია 4.80	18:00	ეკვადორი 3.00
18:00	პოლონეთი 4.50	18:00	პარაგვაი 7.00	18:00	ჰოლანდია 2.40	18:00	პორტუგალია 1.80	18:00	ნიგერია 3.00	18:00	იაპონია 12.00	18:00	კორეა 10.00	18:00	საუდის არაბეთი 8.50
18:00	ეკვადორი 9.00	18:00	ტრინიდადი 35.00	18:00	კოტ დივარი 9.00	18:00	მექსიკა 2.10	18:00	განა 10.00	18:00	ბრაზილია 1.20	18:00	ტოგო 15.00	18:00	ს.არაბეთი 30.00

აზოტის ფერიცვალება

ვერის ბაღი. 16 იანვარი

აზოტი 88:53 დინამო

19:14 28:18 26:13 15:18

აზოტი: ჟღენტი (6), გოგობერიშვილი (16), ჭოჭუა (5), ბაბიაშვილი (21), იმნაძე (13); ლიპარტელიანი (4), გოგსაძე, არწივიძე (3), დანელიანი (4), ჩაჩუა (5), ცეკვავა (2), ტუჯანი (9)

დინამო: წივწივაძე (13), გულისაბეგდაშვილი (8), ლაფანაშვილი (12), გვიმრაძე (3), სუხიშვილი (6); სიგუა, ძიძიგური, ბადრიძე (11), დერიუგინი, დევიძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

სტუ 117:97 მაკაბი

38:23 21:28 28:20 30:26

სტუ: მიქაძე (6), ლოსაბერიძე (3), შანიძე (24), მურჯიკნელი (18), ახალკაცი (1); ქისტაური (2), ნინუა (10), კოხრეიძე (5), ხეცურიანი (16), ათანელიშვილი (2), მათიაშვილი (28), ბერბიჭაშვილი (2)

მაკაბი: კორკოტაძე (15), დოლიძე (15), აბულაძე (11), ვაშაკიძე (26), გ. შერმადინი (26); ჩერქეზიშვილი (2), ხორავა, ს.შერმადინი (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ავიამშენი 95:44 სსუ

23:11 25:15 17:11 30:7

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (10), მარკოიშვილი (24), ნინიაშვილი (11), ჩხატარაშვილი (9), მინაშვილი (17), ბ. ნოზაძე (2), ი. ხოშტარია (6), ბ. ბერიშვილი (12), მოსეშვილი (4)

სსუ: პატარაია (13), მოდებაძე (2), კორძაძე (3), ლ. ნოზაძე (5), ცერცვაძე (2), ჯოჯუა (5), მ. ხოშტარია (4), ქვილითაია (6), ონიკაშვილი (4)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, გაბედავა

კომისარი: როლანდ ხომერიკი

თსუ-ნიკორა 96:77 ძუთაისი

20:21 24:15 21:21 31:20

თსუ-ნიკორა: ი. ბერიშვილი (10), ი. მაისურაძე (13), ფანჩულიძე (29), ლეუკა (9), მარხვაშვილი (7), ვეფხვაძე, კეშელავა, მუშკუდიანი (6), ტყეშელაშვილი (6), სანიკიძე (11), საყვარელიძე (9), ლომიძე (6)

ძუთაისი: ნარსია, ნიჟარაძე (30), ნ. შანიძე (8), გ. ლოსაბერიძე (4), პირტახია (8), ცერცვაძე (9), კოლუაშვილი (18), ჭულუხაძე, ყიფიანი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

ირაკლი პერტაია

გუშინ დაიბადა მორიგი ხსოვნის ტურნირი. დუდუ დადიანის მემორიალის დაარსებიდან ოთხი წლის თავზე კალათბურთის ფედერაციამ ოლიმპიური ჩემპიონების, მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის ხსოვნის ტურნირსაც ჩაუყარა საფუძველი, რომელიც ტრადიციული იქნება და საზამთრო შესვენებისას გაიმართება.

დადიანის მემორიალი ოქტომბერში, სეზონის გახსნის წინ იმართება ხოლმე და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებისთვის თვითგამოცდის კარგ საშუალებას წარმოადგენს. ქორქია-საკანდელიძის ხსოვნის ტურნირსაც თითქმის იგივე დატვირთვა აქვს — ყველას აინტერესებს, თუ რა ფორმაში არიან მეტოქეები, ვინ როგორ გამოიარა საახალწლო სუფრები, როგორი შეკრება ჰქონდათ. ჰოდა, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი — გუშინ ქართული გუნდების ავ-კარგი ვერის ბაღის ფიცარნაგზე გამოჩნდა.

ისეთიც არაფერი გვინახავს, რომ ქართული გუნდების ფერიცვალებაზე ავიმაღლოთ ხმა. რაც აქამდე იყო, ისევ ისეთია კალათბურთიცა და მოთამაშეებიც. ძლიერი სუსტს ხან მოკრძალებული სხვაობით უგებს, ხანაც შეარცხვენს ხოლმე.

ფერიცვალება ვახსენეთ და არ შეიძლება, რუსთავის „აზოტზე“ არ ვთქვათ. ყველაზე მეტად რაც თვალში მოგხვდებოდათ, ქვემოქართლური გუნდის ლაღი, გუნდური და, შესაბამისად, მძლავრი თამაში იყო. ისე, რა გასაკვირია, რუსთაველებმა რომ მოუმატეს, მათ ხომ მეორე წრის ბოლოს სლოვაკეთიდან მობრუნებული დავით იმნაძე შეიმატეს, ხოლო 2005 წლის ბოლო დღეებში ბაქოს „გალადან“ წამოსულ ზვიად ბაბიაშვილსა და ჟოლიევეტ ტუჯანისაც გაუღეს კარი.

რუსთავის გუნდი ისედაც არ იყო ურიგო. გამოცდილ რამაზ გოგიბერიშვილისა და არჩილ ჟღენტის გარშემო საკმაოდ პერსპექტიულ ახალგაზრდობას მოეყარა თავი. ქვემოქართლელებმა ჩემპიონატის საშინაო მატჩებში ყველა ლიდერს ტოლ-სწორი ბრძოლა გაუმართეს, ხოლო ხსენებული ტრიოს დამატების შემდეგ აშკარა იყო მათი გაამბიციურება.

აი, შედეგიც: გუშინ „აზოტმა“ თბილისის „დინამო“ 35 ქულით გაანადგურა, არადა, ეროვნულ ჩემპიონატში ამ გუნდთან შინაც წაგო და თბილისშიც. „აზოტი“ და „დინამო“ ლიდერთა ზურგსუკან, მეორე ეშელონში მდგომი გუნდები იყვნენ, თუმცა გუშინდელმა მატჩმა ცხადყო, რომ რუსთაველები ნებისმიერი ტურნირის ისეთივე ფავორიტები არიან, როგორიც ქართული კალათბურთის უთუმცაო ლიდერები — „თბილავიამშენი“ და „თსუ-ნიკორა“.

ზურაბ დოლიძე/ბაბილოს ფოტო

დინამოელ ბექა წივწივაძეს (№9) და მის თანაგუნდელებს ქინი არ აკლდათ, მაგრამ „აზოტთან“ მაინც განადგურდნენ

„ახლახან რამდენიმე მოთამაშე შეგვემატა და, ცხადია, შეთამაშება გვაკლია, — თქვა „დინამოს“ ძლევის შემდეგ რუსთაველთა თავკაცმა ოთარ ხმელიძემ — ჟოლიევეტ ტუჯანი და ზვიად ბაბიაშვილი ბაქოდან ახლახან ჩამოვიდნენ და კარგად არ იცოდნენ, როგორ თამაშობდა ჩვენი გუნდი ზონური დაცვის წინააღმდეგ. ამიტომაც იყო, თავიდან რომ გაგვიჭირდა, თორემ მერე, როცა ამ კალათბურთელებმა მიზანმიმართულად დაიწყეს თამაში, მეტოქის გატეხვა არ გაგვჭირვებია“.

მართლაცდა, თითქმის მთელი პირველი ტაიმი თანაბარი ბრძოლა იყო, „აზოტი“ ნიადაგ კი ლიდერობდა, მაგრამ მეტოქეს საგრძნობი უპირატესობით მანამ ვერ მოსწყდა, სანამ დიდმა შესვენებამ არ მოატანა. 10:8, 19:4, 26:26 — აი, ამ მატჩის ანგარიშის ქრონომეტრაჟი ხუთწუთიანი ინტერვალებით.

ერთი სიტყვით, მე-15 წუთისთვის ფრე იყო — 26:26. თუმცა მერე მოედანზე ხელმეორედ შემოვიდა ზვიად ბაბიაშვილი და რუსთაველებმაც გაილაღეს. არავინ რომ არ ელოდა, „ბაბომ“ ისეთი „კანფეტივით“ პასების ჩამორიგება დაიწყო და სირცხვილი იქნებოდა მათი არ გამოყენება. გოგობერიშვილსაც მეტი რა უნდოდა, შორი მიზანი მომართა და ერთი წუთის ინტერვალში სამი სამქულიანი უთავაზა თბილელებს. რამაზს ტუჯანიმაც წააშველა ხელი და 13:0 მოგებული ორწუთიანი პერიოდის შემდეგ „აზოტი“ 15-ქულიანი უპირატესობით გავიდა დიდ შესვენებაზე. — 47:32.

რუსთაველები თამაშის ეშხში ისე შევიდნენ, რომ თუ დინამოელებს რამის პრეტენზია ჰქონდათ, მესამე მეოთხედშივე უნდა გამოეჩინთ ფხა, თორემ მერე გვიანი იქნებოდა. ყველაფერი პირიქით მოხდა: მესამე მეოთხედში ქვემოქართლელებმა კიდევ უფრო გაილაღეს, ბაბიაშვილს, გოგობერიშვილსა და ტუჯანის ახალგაზრდებმაც აუბეს მხარი, რამაც დინამოელების მარცხი ბოლო მეოთხედის დაწყებამდე გამოუწერა — 28 ქულის გამბათილებლებს თბილისელები არ ჰგავდნენ და ეს არც მომხდარა.

დანარჩენი მატჩები კი ინტრიგისგან მთლიანად გაძარცვული გახლდათ. ძლიერნი ქართული კალათბურთისანი მაჩანჩალებს ხვდებოდნენ და ყველამ ერთი ამოსუნთქვით მიითვალა გამარჯვებები.

გრანტის გრანდპროგლემა

15 იანვარი

ტორონტო 129:103 ნიუ იორკი

ტორონტო: როუზი (31), პიტერსონი (28), ბოში (23), ვილანოვა (15), კალდერონი (13 ქულა, 10 პასი)

ნიუ იორკი: კარი (20), მარბერი (18 ქულა, 13 პასი), ლი (15 ქულა, 12 მოხსნა), ფრაი (15)

საკრამენტო 104:100 ორლანდო

საკრამენტო: ბიბი (42), მარტინი (22 ქულა, 10 მოხსნა), მილერი (21 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი)

ორლანდო: ნელსონი (29), ჰოვარდი (18 ქულა, 19 მოხსნა), ჰილი (18)

პორტლენდი 89:87 კლივლენდი

პორტლენდი: რენდოლფი (16), პატერსონი (16)

კლივლენდი: ჯეიმსი (29 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), ილგაუსკასი (27)

ლარი ბრაუნმა და მისმა ბიჭებმა ლაზათიანი სერია ულაზათოდ დაასრულეს — „ნიუ იორკ ნიქსმა“ ზედიზედ ექვსი მოგების შემდეგ 26 ქულით წააგო აუტსაიდერ „ტორონტო რეპტორზსთან“.

ატლანტიკის დივიზიონის ამ ორი მაჩანჩალას შეხვედრა თავიდანვე კანადური გუნდის უპირატესობით დაიწყო და ისე გაილია, მანამდე ხუთმატჩწაუგებელ ნიუიორკელებს მოგების მისხალი შანსიც არ მისცემიათ.

ტრავმებით გატანჯულ და სისხლნაკლული „ორლანდოს“ ხან დაემტვრევა და ხანაც ვითომ მოუკეთდება ადრე წარსულში მომავალ ლეგენდად შერაცხული, მერე კი ამ ტრავმებისგან დაკნინებული გრანტ ჰილი. საწყალი გრანტი ბოლო 4 თამაშის გამოტოვების შემდეგ „საკრამენტოსთან“ დაბრუნდა, 18 ქულაც ჩააგდო, მაგრამ ამაოდ დაშვრა.

ზედიზედ დამარცხდა ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდიც“, მიუხედავად იმისა, რომ ლებრონს ჯერჯერობით ყველა კუნთი და მყესი ზამბარასავით უმუშავებს და ჰილისგან განსხვავებით, ყველაფერი წინ აქვს. ჯეიმსმა რიგიანად ითამაშა „პორტლენდთან“, თუმცა თავისიანები მარცხს მაინც ვერ აარიდა. მას თანაგუნდელთაგან ერთი ზიგი ილგაუსკასი უბამდა მხარს, სხვები კი ბუზებს არა და, ამ ორის ჩაგდებულებს ითვლიდნენ.

ჭაბუკებმა ათეული დარაზმეს ახალი თაობა ევროპას ბაქოდან შეუტევს

ამ სეზონში პირველ საერთაშორისო მედლებს მოჭიდაეთაგან ალბათ თავისუფალი სტილის მოჭიდაე ჭაბუკები მოიპოვებენ. 18-19 იანვარს ბაქოში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირია და სხვებთან ერთად მასზე ათი ქართველიც გამოვა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თამაზ ბენდიანიშვილმა წლის პირველი ტურნირისთვის შემადგენლობა გადაახალისა. აზერბაიჯანულ ათეულში შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე ნამყოფი არც ერთი მოჭიდავე არ შეიყვანა. შეგახსენებთ, რომ 2005 წლის ევროპირველობაზე ბენდიანიშვილის გუნდმა შვიდი მედალი მოიპოვა.

„იმ შემადგენლობიდან ზოგს ასაკი აღარ აძლევს ჭაბუკებში გამოსვლის ნებას, ზოგიც შეგნებულად დავასვენეთ — გვითხრა გუშინ ბენდიანშვილმა, ბაქოში გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე — წლეულს მთავარი ტურნირი ივლისში გასამართი ევროპის ჩემპიონატია და ბაქოური შეჯიბრი მისთვის მოსამზადებელ ერთ-ერთ ეტაპად უნდა გამოვიყენოთ. ძირითადად ახალი თაობა მიმყავს. ათეულში ყველაზე გამოცდილი ევროპის 2004 წლის პრიზიორი გიორგი მაყაშვილია“.

ბაქოში ქართულ ათეულს მეორე მწვრთნელი ამირან მაისურაძეც გაჰყვა. დელეგაციაში მსაჯი გია კოტიშიძეც შევიდა. ივი ტურნირს მოემსახურება.

თამაზ ბენდიანიშვილი: „ევროპის ჩემპიონატამდე საერთაშორისო ტურნირზე სავარაუდოდ ერთხელ, მაისში გავემგზავრებით, ალბათ თურქეთში. იქამდე მარტში თბილისში ბერიაშვილის სახელობის ტრადიციული ტურნირი გაიმართება. აპრილის ბოლოს საქართველოს ჩემპიონატია. წინასაევროპო შეკრებებს კი ზაფხულის დასაწყისიდან ვგეგმავთ“.

ოთარ ბაღლაკელიძე

საქართველოს ნაკრები	
ჯაცები	
46 კგ	ვასილ მამულაშვილი
50 კგ	დავით ხუციშვილი
54 კგ	გივი დავიდოვი
58 კგ	თორნიკე როსტიაშვილი
63 კგ	ბექა ბუქური გიორგი მაყაშვილი
69 კგ	ოთარ ურუტაძე
76 კგ	ლაშა ჯაყელი
85 კგ	ელია ოდიკაძე
100 კგ	თორნიკე ხიდეშელი

კოკაის ივაკიამა ემძიმა

მეცხრე ტურის შემდეგ იანვრის ბაშოს ერთპიროვნული ლიდერი შერჩა. 28 წლის ექსსეკივაკე, ამჟამად კი აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა ხოკუტორიკი ხალიჩაზე ცხრაჯერ გავიდა და ჯერ არავისთან დამარცხებულა. იოკოძუნაყოფილ ხოკუტოუმის 151-კილოგრამიანი შეგირდის მეცხრე ლუკმა ამინისკი გახდა.

ლიდერთა დუეტის დაშლა თავის თავზე მაკუტის უმძიმესმა სეკიტორიმ, 128-კილოგრამიანმა მიაბიამამ აიღო. 154-კილოგრამიანი ოძეკი ტოჩიაძუმა თავიდანვე კი მიაწვა მძიმე მეტოქეს და ხალიჩის საზღვრამდეც გაიყვანა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო. მიაბიამამ კონტრშეტევა წამოიწყო და 23-ე წამზე მომგებიანი ფანდიც გააკეთა.

ტოჩიაძუმასთან ერთად ხოკიტორიკის კვალში იოკუძუნა ასასიორუ უდგას. ორივეს თითო წაგება აქვთ და იმპერატორის თასზე მოფიქრალნი ლიდერის წაფორხილებაზე ოცნებობენ. მათ ოცნებას დღეს ასრულება, ალბათ, არ უწერია. ხოკუტორიკი იანვრის ბაშოს ერთ-ერთ აუტსაიდერს, ტოკიცუმის ხვდება.

ლევან ცაგურია კი გუშინ მეოთხედ დამარცხდა და ორქულიანი დადებითი ბალანსი ერთამდე შეიმცირა. კოკაის მძლეველი 175-კილოგრამიანი ივაკიამა აღმოჩნდა. ამ ბრძოლის ბედიც მძავრმა კონტრშეტევამ გადაწყვიტა.

ტურნირის დასრულებამდე ექვსი დღეა და დარჩენილ ექვს შეხვედრაში კოკაის სულ ცოტა, სამი გამარჯვება სჭირდება. თუ შეძლო, იანვრის ბაშოს დადებითი ბალანსით, კატიკოსით, დაასრულებს და სამომავლოდ წოდებაც მოემატება. დღეს მისი მეტოქე ექსკომუსუბი კაკიძეა.

ოჯახური ამბავი: ვიქტორია რავა და ამირან ჯიოშვილი დაშორდნენ

ბედის ირონიით ისე მოხდა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საფრენბურთო წყვილის გზები სპორტულ ამბავში გაიყარა. ევროპის ორგზის საუკეთესო ფრენბურთელი ქალი ვიქტორია რავა საქართველოს ნაკრებს ბადის იქიდან დაურტყამს, ხოლო მისი მეუღლე ამირან ჯიოშვილი ჩვენებისთვის გაიქნევს მარჯვენას. თბილისში დაბადებულ-გაზრდილი „კანის“ ვარსკვლავი, უმშვენიერესი ვიქტორია რავა ორი წლის წინ გაფრანგდა და იქაურ ნაკრებშიც თამაშობს, ხოლო საფრანგეთშივე მოთამაშე მისი ქმარი ამირან ჯიოშვილი ქართველებს შეაშველებს ხელს

ამირანი საქართველოში მოდის, ვიკა საფრანგეთში რჩება

თავში ბედის ირონია ტყუილად არ გვიხსენებია. 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრამ, საქართველოს ქალთა ნაკრები ჯგუფში საფრანგეთთან, გერმანიასთან და ლატვიასთან მოახვედრა, კაცების მეტოქეები კი ჰოლანდია, მაკედონია და სლოვენია იქნებიან.

ქალების ჯგუფიდან პირველ-მეორეადგილოსნები, ხოლო კაცებიდან თითო საუკეთესო გუნდი გადის პლეი ოფში და იქიდან უნდა შეძლოს ევროსაგზურის მოპოვება.

ერთი სიტყვით, ფრენბურთში ყველაზე ბომონდური წყვილის ამბავი ასეთია: ცოლი საქართველოს წინააღმდეგ, ქმარი საქართველოსთვის.

ვიქტ. რია რავას და ამირან ჯიოშვილს საფრანგეთში დავუკავშირდით, თავიდან ამირანს გავესაუბრეთ.

— როგორც ვიცით, შენც საფრანგეთის მოქალაქე ხარ და იქაურ ნაკრებშიც გთავაზობდნენ თამაშს. რატომ გადაწყვიტე საქართველოს ნაკრებში დარჩენა?

— თავიდან მართლაც ასე იყო, მაგრამ როცა შარშანწინ ზაფხულს მე და ვიკა თბილისში ვიყავით, აზრი შევიცვალე. საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან ახვლედიანს ვესაუბრე და დავრწმუნდი, რომ საქართველოში ფრენბურთის ასაღორძინებლად რეალური საქმეები კეთდება. ვისაც დანახვის სურვილი აქვს, კარგად იცის, რომ მართლაც ასეა და ჩემგან არ იქნებოდა გამართლებული, ასეთ დროს საქართველოზე უარი მეთქვა. თანაც მთავრობის წარმომადგენლებსაც ვესაუბრე და ორმაგი მოქალაქეობაც მივიღე.

— ესე იგი, გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრებში ითამაშებ?

— დიახ, გადაწყვეტილია. ეგ კი არა, პლაჟის ფრენბურთის ნაკრებშიც ვითამაშებ. შარშან სერიოზული ტრავმა მქონდა და ბევრი გამიცდა. საპლაჟო ტურნირებიც ამიტომ გამოვტოვე.

— გეცოდინება, რომ პეკინის ოლიმპიადისთვის საპლაჟო ფრენბურთში ბრაზილიელების წყვილი გვეყოლება.

— რა თქმა უნდა, ვიცი ჯა ეს ძალიანაც გამიხარდა. ამასაც ვგულისხმობდი, როცა ვთქვი, რომ ჩვენი ფედერაცია ყველაფერს აკეთებს ფრენბურთის პოპულარიზაციისა და სერიოზული შედეგისთვის. ბრაზილიელები საკმაოდ კარგი ფრენბურთელები არიან. საერთოდ, საპლაჟო ფრენბურთი სტანდარტულისგან ძალიან განსხვავდება, სულ სხვა სპეციფიკაა. როგორც ვიცი, ორი წყვილი გვეყოლება, ბრაზილიელების და ქართველების. მათგან ბევრს ვისწავლით და საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს ჩავენაცვლებით კიდეც.

— გასაგებია, რომ საქართველოს ნაკრებში თამაშს პერსპექტივის გამო დათანხმდი, მაგრამ ჯგუფი, რომელშიც ჩვენი ნაკრები მოხვდა, საკმაოდ სოლიდურია. აქედან გასვლის შანსი თუ არის? თანაც ერთი გუნდი გადის...

— რა თქმა უნდა, შანსი არის. თუ ყველა შევიკრიბებით, წარმოუდგენელი არაფერია. თავს არ ვიქებ, მაგრამ მეც ბევრი შემიძლია, კიდევ არიან ლეგიონერები, სოსო ლობჟანიძე და ვახტანგ ჩიქოვანი. ფრენბურთში ორი-სამ ძლიერ კაცზე გუნდის აგება ჩვეულებრივი ამბავია.

— ერთიც რასაც ვიქტორიასაც ვკითხავთ. თქვენი გადაწყვეტილება გასაგებია, ვიქტორიამ რატომღა არჩია საფრანგეთი?

— ამას ვიკა უკეთ აგიხსნით. თანაც სურვილი ერთია, რეალობა — მეორე. მას უკვე ჰქონდა საფრანგეთის ნაკრებში ნათამაშები და საქართველოს სახელით ორი-სამი წელი მაინც ვერ ითამაშებდა. მე კი ამ მხრივ პრობლემა არ მქონია...

ამირან ჯიოშვილთან საუბრის შემდეგ მის მეუღლეს, ვიქტორიას ველაპარაკეთ. ვიკამ თავიდანვე მოგვიბოდიშა, პირად საქმეზე მეჩქარება და დიდხანს ვერ გესაუბრებითო. ვრცელ ინტერვიუს კი სამომავლოდ დაგვპირდა. ამიტომაც სახელდახელო საუბარი გამოგვივიდა.

— ვიკა, რატომ არჩიეთ საფრანგეთის ნაკრები საქართველოსას?

— ამირანის ნათქვამს მხოლოდ ერთს დავამატებ: საკლუბო დონეზე რაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი მოვიგე. არ დაგიმალავთ და, სურვილიც მქონდა, საქართველოსთვის მეთამაშა, მაგრამ მინიმუმ ორი წელი მაინც გამიცდებოდა. პატარა აღარ ვარ, იმ დროისთვის, როგორც მოთამაშე, არც საქართველოს გამოვადგებოდი და არც საფრანგეთს. საქართველოს ნაკრებს მომავალშიც დავეხმარები, რითაც შევძლებ, მანამდე კი მინდა, სანაკრებო დონეზეც მოვიგო რაიმე ტიტული. ეგებ პეკინის ოლიმპიადაზეც ვითამაშო.

— საქართველოს და საფრანგეთის ნაკრებები მეტოქეები იქნებიან.

— ჩემი ნება რომ იყოს, საქართველოს წინააღმდეგ არ ვითამაშებდი, მაგრამ პროფესიონალი ვარ და რაკი გამომიძახეს, მოედანზეც მომიწევს გასვლა. ისე კი, ეს ამბავი ერთი მხრივ კარგია, ეგებ თბილისშიც მომიწიოს დაუგეგმავად ჩამოსვლამ.

— ცოტა უცნაური კია. ქმარი სხვა ნაკრებში ითამაშებს, ცოლი სხვაში.

— რას იზამ, ასე გამოვიდა. ისე, მე და ამირანი ერთმანეთს მოედანზე ვერანაირად ვერ შევხვდებით, ასე რომ, მეტოქეები ვერ ვიქნებით. ოჯახური გადაწყვეტილება მივიღეთ, არც საქართველოს დავწყვიტეთ გული და არც საფრანგეთს.

— დროებით დაგემშვიდობებით, მაგრამ ჩვენების წინააღმდეგ წარმატებას ვერ გისურვებთ.

— გასაგებია, მაგრამ ჩემით თუ უჩემოდ ობიექტურად საფრანგეთი საქართველოზე ძლიერია. უბედნიერესი ვიქნებით, თუ ჯგუფიდან საქართველო და საფრანგეთი გავლენ.

ჩვენ კი გეტყვით, რომ საქართველოს ქალთა ნაკრები 26 მაისს საფრანგეთს, 27 მაისს გერმანიას, 28 მაისს კი ლატვიას ხვდება. ქალები პირველი წრის მატჩებს საფრანგეთში გამართავენ.

კაცთა ნაკრები ჰოლანდიას, მაკედონიას და სლოვენიას ივნისის დასაწყისში შეხვდება. კონკრეტული თარიღები მალე დაზუსტდება.

ბაჩო სვანიძე

ავსტრალიის ღია პირველობა 2006

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $



AFP მელბურნიდან

ვინუს უილიამსმა ერთწლიანი ავსტრალიური შვებულება აიღო

პირველი წრე

კაცები

ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) — **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — 3:6 6:3 7:6 6:3; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — **ვინსენტ სპადეა** (აშშ) — 3:6 6:0 6:2 6:3; **გასტონ გაუდიო** (არგენტინა, 8) — **რაზვან საბაუ** (რუმინეთი) — *უარი;* **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — **კარლოს მოია** (ესპანეთი, 32), 6:4 7:6 4:6 3:6 6:4; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია, 18) — **აუგუსტინ კალერი** (არგენტინა) — 6:4 4:6 6:3 6:3; **იან ჰერნიხი** (ჩეხეთი) — **ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი) — 2:6 6:3 7:6 6:2; **დანიელე ბრაჩიალე** (იტალია) — **იენ-ჰსუნ ლუ** (ტაივანი) — 6:1 7:6 6:2; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი, 11) — **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — 4:6 6:3 6:1 6:4; **ტომი რობრედო** (ესპანეთი, 16) — **ირჟი ვანეკი** (ჩეხეთი) — 6:4 7:6 6:3; **დან-კრისტოფერ ფორელი** (საფრანგეთი) — **ალექსანდერ ვასკე** (გერმანია) — 7:6 6:3 7:6; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი, 26) — **მარკ კიმიხი** (ავსტრია) — 6:2 7:5 4:1 (*უარი*); **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — **ალბერტ მონტანესი** (ესპანეთი) — 4:6 6:2 6:3 6:0; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა, 4) — **დანაი უდომჩოკე** (ტაილანდი) — 6:2 6:2 1:6 6:7 6:1; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 7) — **კრის გუჩონე** (ავსტრალია) — 7:6 6:4 7:6; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — **ლუკაშ დლუჰი** (ჩეხეთი) — 7:5 6:2 6:4; **ფელიციანო ლოპესი** (ესპანეთი, 31) — **ტომაშ ბერენდი** (ჩეხეთი) — 6:2 7:5 6:3; **რობი ჯინიერი** (აშშ, 13) — **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — 6:1 6:4 6:2; **დენის გრეფელმაირი** (გერმანია) — **იონას ბიოკმანი** (შვედეთი) — 3:6 6:2 6:0 6:1; **მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი) — **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — 7:6 7:5 6:0; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი, 17) — **ბიორნ რენქვისტი** (შვედეთი) — 6:1 6:2 6:2; **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — **ტეილორ დენტი** (აშშ, 27) — 7:6 6:3 7:6; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — **მარკოს დანიელი** (ბრაზილია) — 6:2 6:1 3:0 (*უარი*); **ვესლი მუდი** (სამხრეთ აფრიკა) — **ოსკარ ერნანდესი** (ესპანეთი) — 3:6 7:6 6:4 6:2; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი, 10) — **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) — 6:1 7:6 6:4; **ძსავიე მალისი** (ბელგია) — **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — 7:5 5:7 6:4 6:2; **ჟილ მიულერი** (ლუქსემბურგი) — **რიკარდო მელო** (ბრაზილია) — 5:7 6:2 6:7 7:6 6:0; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — **ტიმ ჰენმანი** (დიდი ბრიტანეთი) — 5:7 6:3 6:4 7:5; **ენდი როდიკი** (აშშ, 2) — **მიხაელ ლამერი** (შვეიცარია) — 6:4 6:2 6:2; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ, 20) — **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — 6:2 6:3 4:6 7:6; **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი, 19) — **ბობი რეინოლდსი** (აშშ) — 7:5 6:3 6:7 6:1; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — 7:6 6:2 3:6 4:6 6:3

ქალები

ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) — **კეისი დელაკუა** (ავსტრალია) — 6:2 6:1; **კაროლინა შპრეიმი** (ხორვატია) — **ალიონა ბონდარენკო** (უკრაინა) — 6:4 6:2; **გალინა ვოსკობოევა** (რუსეთი) — **ემანუელა გალიარდი** (შვეიცარია) — 6:4 6:3. **მარია კირილენკო** (რუსეთი) — **ევგენია ლინეცკაია** (რუსეთი) — *უარი;* **მარა სანტანჯელო** (იტალია) — **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი, 24), 6:4 4:6 6:4; **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) — **სტეფანი ფორეეი** (საფრანგეთი) — 6:4 6:3; **ცვეტანა პორინკოვა** (ბულგარეთი) — **ვინუს უილიამსი** (აშშ, 10) — 2:6 6:0 9:7; **ლაურა გრენვილი** (აშშ) — **კატრინ ვოერლე** (გერმანია) — 5:7 6:2 6:0; **კონჩიტა მარტინეს გრანადოსი** (ესპანეთი) — **ალი სუგიამა** (იაპონია) — 6:4 6:3; **ვირჯინია რაზანო** (საფრანგეთი) — **ელენა დოკიჩი** (ავსტრალია) — 3:6 7:6 6:1; **ჰანა შრომოვა** (ჩეხეთი) — **აკიკო მორიგამი** (იაპონია) — 3:0 (*უარი*); **მარია შარაპოვა** (რუსეთი, 4) — **სანდრა კლოზელი** (გერმანია) — 6:2 6:1; **ზუზანა ოზდრასკოვა** (ჩეხეთი) — **ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპანეთი, 28) — 6:3 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი, 17) — **საორი ობატა** (იაპონია) — 3:6 6:3 6:0; **აკგულ ამანმურადოვა** (უზბეკეთი) — **დალი რანდრიანტეფი** (მადაგასკარი) — 6:3 2:6 6:1; **ჯულია შრუფი** (გერმანია) — **ელენა დემენტიევა** (რუსეთი, 9) — 7:5 6:2; **ელენა ვესნინა** (რუსეთი) — **ტანგ ლი** (ჩინეთი) — 6:2 6:3; **ოლგა სავჩუკი** (უკრაინა) — **ციპორა ობზილერი** (ისრაელი) — 6:1 4:6 6:4; **მარია ელენა კამერინი** (იტალია) — **ივონ მოისბურგერი** (ავსტრია) — 6:4 6:2; **მარტინა მიულერი** (გერმანია) — **იარმილა გაიდოშოვა** (სლოვაკეთი) — 1:6 6:2 6:3; **ნადია პეტროვა** (რუსეთი, 6) — **სოფი ფერგიუსონი** (ავსტრალია) —6:2 6:1; **ვირჯინია რუანო-პასკუალი** (ესპანეთი) — **ლურდეს დომინგეზ-ლინო** (ესპანეთი) — 6:2 7:6; **ჟუსტინ ენინ-არდენი** (ბელგია, 8) — **მარტა დომაჩოვსკა** (პოლონეთი) — 6:2 6:1; **ეკატერინა ბიჩკოვა** (რუსეთი) — **კლარა კუკალოვა** (ჩეხეთი, 29) — 6:1 5:7 6:2; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი, 18) — **ლიზა რეიმონდი** (აშშ) — 7:6 7:6; **კამელი პინი** (საფრანგეთი) — **მარიანა დიაზ-ოლივა** (არგენტინა) — 2:6 7:5 6:4; **ელენა კოსტანიჩი** (ხორვატია) — **მაშონა ვაშინგტონი** (აშშ) — 6:1 6:2; **არანტა პარა სანტონია** (ესპანეთი) — **ტატიანა პანოვა** (რუსეთი) — 4:6 7:5 6:1; **სერინა უილიამსი** (აშშ, 13) — **ნა ლი** (ჩინეთი) — 6:3 6:7 6:2

კორტზე ძილი არ შეიძლება

ნალბანდიანმა დროზე გაიღვიძა, ვინუსმა — ვერა

გუშინ ახალი საჩოგბურთო სეზონის პირველი დიდი ტურნირი — ავსტრალიის ღია პირველობა დაიწყო. პირველივე სათამაშო დღემ უაღრესად საინტერესოდ ჩაიარა, იყო ყველაფერი — უმაღლესი დონის ჩოგბურთი, მეტად დაძაბული და საინტერესო ორთაბრძოლები და პირველი სენსაციები.

ტურნირმა პირველსავე დღეს რამდენიმე განთესილი მოთამაშე დაკარგა. განსაკუთრებით დაძაბული კი ორშაბათი უილიამსების ოჯახისთვის გამოდგა. ჯერ იყო და, ვინუს უილიამსმა წააგო უცნობ ბულგარელ ცვეტანა პორინკოვასთან, რამდენიმე საათის შემდეგ კი დის ბედი კინაღამ სერენამაც გაიზიარა ჩინელ ნა ლისთან შეხვედრაში.

როგორც ჩანს, ტურნირის წინ ვინუსი ტყუილად იქადნებოდა, ასი პროცენტით მზად ვარო. 18 წლის პორინკოვასთან ის მხოლოდ აჩრდილიღა იყო იმ ჩოგბურთელისა, ორიოდე წლის წინ ნებისმიერი ტურნირის მოგების უმთავრეს პრეტენდენტად რომ ითვლებოდა.

ვინუსმა მხოლოდ პირველი სეტი ითამაშა ისე, როგორც შეეფერებოდა. შემდეგ კი 65(!) უნებლიე შეცდომა დაუშვა და შეიძლება ითქვას, თვითონ აჩუქა გამარჯვება მეტოქეს.

ამას მატჩის შემდგომ ვინუსიც აღიარებდა. „პორინკოვა კარგი ჩოგბურთელია და უკანა ხაზზე მშვენივრად თამაშობს, მაგრამ ეს შეხვედრა ჩემი შეცდომების გამო წავაგე — 70-მდე უნებლიე შეცდომა უპატიებელია“.

ასეა თუ ისე, უფროსი უილიამსი ერთი წლით დაემშვიდობა მელბურნის კორტებს. აი, პორინკოვასთვის კი ეს მართლაც დიდი წარმატებაა:

„პირველ სეტში ძალიან ბევრს ვნერვიულობდი, მაგრამ ნელ-ნელა დავწყნარდი, მეტოქის თამაშს ალღო ავუღე და ნორმალურადაც ავთამაშდი... ეს მოგება კარგი კი იყო, მაგრამ ახლა ეიფორიის დრო ნამდვილად არ მაქვს, მხოლოდ მომავალ მეტოქეზე ვფიქრობ“.

ვინუსის მსგავსად, სერენამაც თავად შეიქმნა პრობლემები. ჯერ ერთი სეტი მოიგო, მეორეში კი 5:4 მიჰყავდა და... რატომღაც ანერვიულდა. ჯერ ტაიბრეიკამდე მიაყვანინა საქმე ჩინელ ნა ლის, შემდეგ კი იქ პირწმინდად დამარცხდა — 7:1. თუმც სერენამ მაინც მოიკრიბა ძალა და გადამწყვეტ სეტში შანსი არ დაუტოვა მეტოქეს.

AFP მელბურნიდან

დავიდ ნალბანდიანი

AFP მელბურნიდან

ცვეტანა პორინკოვამ სენსაციურად იყოჩაღა

ქალების ტურნირს ვინუს უილიამსის გარდა კიდევ ერთი განთესილი, რუსი ელენა დემენტიევა გამოეთიშა. მან ჯულია შრუფთან ვერაფერი გააწყო და ორ სეტში წაგო. რუსმა ჩვეულად ცუდად ითამაშა თავის მოწოდებაზე და 12 ორმაგი შეცდომით დაამთავრა შეხვედრა.

უილიამსებისა და დემენტიევასგან განსხვავებით, კარგად ითამაშეს სხვა ფავორიტებმა — პირველმა ნომერმა ლინდსი დევენპორტმა და მერვე ნომერმა ჟუსტინ ენინ-არდენმა. მათ მეტოქეებს მხოლოდ სამსამი გეიმი დაუთმეს. საკმაოდ ადვილად იმარჯვა მარია შარაპოვამაც, თუმც მას მაინც ეტყობოდა, რომ ტრავმა ბოლომდე მოშუშებული არა აქვს.

ქალებთან შედარებით, გაცილებით წყნარად ჩაიარა კაცების ტურნირმა. ფავორიტებმა შეძლეს პირველი ბარიერის გადალახვა, თუმც ზოგიერთს მაინც ძალიან გაუძნელდა მეორე წრეში გასვლა.

საკმაოდ მოულოდნელად, ბევრი იწვალა მეოთხე ნომრად განთესილმა არგენტინელმა დავიდ ნალბანდიანმა, რომელმაც ხუთი სეტი ჩაატარა ტაილანდელ დანაი უდომჩოკესთან. ნალბანდიანმა პირველი ორი სეტი მოიგო, შემდეგ კი კორტზე თითქოს ჩაეძინა. მაგრამ არგენტინელმა დროულად მოახერხა გამოფხიზლება და მეორე წრეშიც გავიდა, სადაც სამხრეთაფრიკელ ვესლი მუდის შეხვდება.

ადვილად მოიგო ენდი როდიკმა. ამერიკელს არანაირი პრობლემა არ შექმნია შვეიცარელ მიხაელ ლამერთან შეხვედრაში.

უნდა გამოიყოს რუსი დმიტრი ტურსუნოვი, რომელიც ნამდვილად ღამის კოშმარად ექცა ტიმ ჰენმანს. შეგახსენებთ, რომ ტურსუნოვმა ბრიტანელს შარშანაც მოუგო უიმბლდონის მეორე წრეში და ახლა იგივე მელბურნშიც გაიმეორა.

კახა ლომაშვილი

დაკარის სისხლიანი ფინიში

Lisboa - Dakar 1979 2006 euromilhões

ნაღვლიანად დასრულდა მთელ დუნიაზე ურთულესი ავტო-მოტო ზომარათონი „ლისაბონ-დაკარი“. 31 დეკემბერს პორტუგალიის დედაქალაქში დაწყებული 9000-კილომეტრიანი, უპოპულარულესი რალი-რეიდის უმეტესმა ნაწილმა აფრიკის უდაბნოსა და უგზოობაში გაიარა.

ბრძოლაში სამი კატეგორიის — მოტოციკლები, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები — წარმომადგენლები ჩაებნენ, სულ 484 ეკიპაჟი. ორკვირიანი სატანჯველის ფინიშამდე მათგან ნახევარზე ნაკლებმა, მხოლოდ 194-მა მიაღწია.

სამწუხაროდ, ჯირითს არც ამჯერად ჩაუვლია უმსხვერპლოდ. მეცხრე ეტაპზე, შუა დისტანციაზე, მავრიტანიის ქვიშნარში 41 წლის ავსტრალიელი ენდი კალდკოტი მოტოციკლიდან გადმოვარდა და კისრის მალების მოტეხვისგან ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო ბოლო ორ დღეს გვინეასა და სენეგალში მანქანებმა 10 და 12 წლის ბიჭები გაჭყლიტეს. ეს ბებერ ბავშვების გადარჩენა ვერ შეძლეს.

ამრიგად, ამ სუპერმარათონის 28-წლიან ისტორიაში დაღუპულთა რაოდენობა 25-მდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ წლეულს „დაკარის“ შარშანდელ ტრიუმფატორთაგან ვერავინ შეძლო ტიტულის შენარჩუნება. მოტომრბოლთა შორის უძლიერესი იყო ესპანელი მარკ კომა, რომელმაც ნახევარი საათით ჩამოიტოვა 2005 წლის გამარჯვებული ფრანგი სირილ დეპრე.

სატვირთო მანქანების კატეგორიაში უკვე მეშვიდედ იპირველა რუსულმა „კამაზმა“, ოღონდ ამჯერად ვლადიმირ ჩაგინმა და ფირდაუსკას კაბიროვმა ადგილები გაცვალეს. ამჟამინდელი წარმატება მეხუთეა ჩაგინის ხანგრძლივ კარიერაში.

მსუბუქი მანქანების ჭიდილში კარგა ხანს ლიდერობდა კლასიკურ რალიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი კარლოს საინსი, მაგრამ მერვე ეტაპზე 45 წლის ესპანელმა „ფოლკსვაგენი“ გზისპირა ლოდს მიახეთქა და იმდენი დრო დაკარგა, რომ გამარჯვებას ვეღარ დაეძებს. „ფოლკსვაგენი“ მოხვედრის შანსიც კი ვერ ადაგურა.

ბია ახალაძე

რალი-რეიდი „ლისაბონი — დაკარი 2006“
საბოლოო ჩათვლა

მოტოციკლები

მარკ კომა *(ესპანეთი, KTM)*	47 სთ; 1,21 წთ
სირილ დეპრე *(საფრანგეთი, KTM)*	ჩამორჩენა 32,39 წთ
ანტონიო სალა *(იტალია, KTM)*	1 სთ; 45,15 წთ

მსუბუქი მანქანები

ალფანი, პიკარი *(საფრანგეთი, „მიცუბისი“)*	46 სთ; 25,52 წთ
დე ვილერსი, ტორნერი *(სარ, შვედეთი, „ფოლკსვაგენი“)*	20,31 წთ
რომა, მანი *(ესპანეთი, საფრანგეთი, „მიცუბისი“)*	1 სთ; 20,46 წთ

სატვირთო მანქანები

ჩაგინი, იაკუბოვი, სავოსტინი *(რუსეთი, „კამაზი“)*	61 სთ; 20,49 წთ
სტეისი, კინდერენი, გოტლიბი *(ჰოლანდია, ბელგია, MAN)*	3 სთ; 1 წთ
კაბიროვი, ბელიაევი, მოკეევი *(რუსეთი, „კამაზი“)*	3 სთ; 35,24 წთ

იაპონელები მაღლა იყურებიან

შარშანდელი ჩემპიონატი ყველაზე წარმატებული იყო „პანასონიკ ტოიოტას“ ოთხწლიან ისტორიაში. კონსტრუქტორთა თასზე მეოთხე ადგილი სუპერვეშაპების — „რენოს“, „მაკლარენ-მერსედესისა“ და „სკუდერია ფერარის“ შემდეგ დანარჩენ შვიდეულში ჩემპიონობის ტოლფასია. თანაც ამომავალი მზის ქვეყნელებმა უკან ჩამოიტოვეს ისეთი სახელოვანი მეტოქე, როგორიცაა „სამეფო რბოლების“ ცხრაგზის მსოფლიოს ჩემპიონი, სერ ფრენკ უილიამსის გუნდი, აგრეთვე ფორმულაში ხანგრძლივ ჯირითში ჭიპმოჭრილები — „BAR-ჰონდა“, „ზაუბერი“, „ჯორდანი“...

აღსანიშნავია, რომ იაპონური გუნდი წინა სეზონში ყველაზე სტაბილური იყო, თვით აბსოლუტურ ჩემპიონ „რენოზეც“ კი, რაც, ცხადია, საიმედო, საათივით მომუშავე „ტოიოტას“ ძრავების უმთავრესი დამსახურებაა. რალფ შუმახერმა და იარნო ტრულიმ 19 რბოლაში ყველაზე მეტი მანძილი — 10 393 კილომეტრი გაიარეს, რენოელებზე 700 კილომეტრით მეტი და მხოლოდ ექვსჯერ ვერ მიაღწიეს ფინიშამდე.

წლევანდელ, რიგით 57-ე მსოფლიო ჩემპიონატს ფორმულა ერთი რადიკალურად შეცვლილი საძრავო აღჭურვილობით ხვდება. ზესახიფათო, ლამის 400 კილომეტრამდე გაზრდილი სისწრაფის შესამცირებლად ოცი პროცენტით მოიკლო ძრავების მოცულობამ და, შესაბამისად, თითქმის 200 ცხენის ძალით — სიმძლავრემაც.

ტოიოტელები გერმანიაში, კიოლნის თავიანთ ფაბრიკაში 2004 წლიდან მუშაობდნენ ახალი რეგლამენტის შესატყვის ბოლიდზე და, რა გასაკვირია, რომ ყველაზე ადრეც მზად ჰქონდათ. ახალთახალი „ტოიოტა TF 106“-ის წინასწარი პრეზენტაცია ორი თვის წინ მოაწყეს, გუშინწინ კი ბოლიდი და პილოტები ოფიციალურად წარუდგინეს საფორმულო მედიას.

ერთი სიტყვით, „ტოიოტამ“ პირველმა დაიწყო ახალი ბოლიდის ტესტირება, პირველმა მოაწყო პრეზენტაცია და ყოველ ნაბიჯზე რიხით აცხადებენ, ყოველივე ეს ჩვენი წარმატებული შრომის ლოგიკური შედეგია და 2006 წლის სეზონისგან გაცილებით მეტს ველითო.

გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. „ტოიოტა“ დატოვა ავსტრიელმა მთავარმა კონსტრუქტორმა, 55 წლის გუსტავ ბრიუნერმა. მიზეზი ისაა, რომ გუნდის ტექნიკურ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ბრიუნერის პოსტი საჭირო აღარ იყო. დაბოლოს, „ტოიოტა“ თავიდან ფეხებამდე იაპონური გახდა მას შემდეგ, რაც საჯინიბოს ხელმძღვანელობამ ფრანგული “მიშლენის“ საბურავებს მშობლიური „ბრიჯსტოუნისა“ ამჯობინა.

ცუტომუ ტომიტა: „ჩვენი უმთავრესი მიზანია წლეულს ერთი-ორი რბოლის, შემდგომ კი მსოფლიოს ჩემპიონობის მოგება. ვთვლი, რომ „ბრიჯსტოუნის“ საბურავებზე გადასვლა სწორი ნაბიჯია გუნდის ხანგრძლივი წინსვლა-განვითარების საქმეში. გასული სეზონის წინ ორი მიზანი გვქონდა: პირველი — რაც შეიძლება ბევრ რბოლაში ქულების დაგროვება, მეორე — ფინიში პოდიუმზე. ჩვენ ქულებით დავასრულეთ 19-დან 17 ეტაპი და ხუთჯერ ავედით პოდიუმზე. ჩემპიონატის ფინიშზე ყოფილი ჩემპიონების გვერდით აღმოვჩნდით. ასე რომ, შედეგებით ძალიანაც კმაყოფილი ვარ. სამომავლოდ კი უფრო დიდი მიზნები დავისახეთ.“

მაიკ გესქოინი: „ოფიციალური პრეზენტაციების ცერემონია მოძველდა. ჩვენ დღეს კი წარმოგიდგენთ ახალ TF 106-ს, მაგრამ სეზონის დაწყებამდე მანქანა შეიცვლება. ყველაფერს ვიღონებთ, რომ ჩემპიონატის დასაწყისისთვის საუკეთესო ფორმაში ვიყოთ, მთავარია, მოდიფიკაციამ სასურველი ეფექტი მოიტანოს. TF 106-ზე მუშაობა საკმაოდ ადრე დავასრულეთ, ამიტომ დროც საკმაო გვაქვს, რათა სიახლეში ცვლილებები შევიტანოთ და უკვე დღეს ვაცხადებ, რომ გაუმჯობესებული ვერსია — TF 106B გამოჩნდება მაისში, მონაკოს დიდი პრიზის გათამაშებისას.“

ბია ახალაძე

ტოიოტა

პანასონიკ ტოიოტა რეისინგი დაარსდა 2000 წელს
ფორმულა 1-ში გამოდის 2002 წლიდან
69 რბოლა, 5 პოდიუმი, 115 ქულა
საუკეთესო შედეგი IV ადგილი (2005)
პრეზიდენტი ცუტომუ ტომიტა (იაპონია)
„ტოიოტა მოტორსპორტის“ შეფი ჯონ პაუეტი (ინგლისი)
ტექნიკური დირექტორი მაიკ გესქოინი (ინგლისი)
მთავარი მოტორისტი ლუჩა მარმორინი (იტალია)
ბოლიდი „ტოიოტა TF 106“
სიგრძე 4,53 მ, სიგანე 1,8 მ, სიმაღლე 0,95 მ
წონა 600 კგ — მძღოლით და ვიდეოკამერით
ძრავა „ტოიოტა RVX 06“
რვაცილინდრიანი, მოცულობა 2398 სმ³,
სიმძლავრე 740 ცხენის ძალა, შვიდსიჩქარიანი
საბურავები „ბრიჯსტოუნი“
ტესტ-მძღოლი რიკარდუ ზონტა (ბრაზილია, 29 წლის)





რალფ შუმახერი
გერმანია
დაიბადა 1975 წლის 30 ივნისს
პურტ-ინერმოლცჰაიმში
ცხოვრობს ზალცბურგში (ავსტრია)
ჰყავს შეუღლე კორა და
ვაჟიშვილი დავიდი
სიმაღლე 178სმ; წონა 73კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (1997)
პირველი გამარჯვება:
სან მარინოს დიდი პრიზი (2001)
145 რბოლა; 6 მოგება; 6 პოული;
8 უსწრაფესი წრე; 304 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი:
მეოთხე ადგილი (2001, 2002)
გუნდები: „ჯორდანი“ (1997-98)
„უილიამსი“ (1999-04)
„ტოიოტაშია“ 2005 წლიდან

იარნო ტრული
იტალია
დაიბადა 1974 წლის 13 ივლისს
პესკარაში (იტალია)
ცხოვრობს მონტე კარლოში
ჰყავს შეუღლე ბარბარა და
ვაჟიშვილი ენცო
სიმაღლე 173სმ; 60კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (1997)
პირველი გამარჯვება:
მონაკოს დიდი პრიზი (2004)
146 რბოლა; 1 მოგება;
3 პოული; 160 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი:
მეექვსე ადგილი (2004)
გუნდები: „მინარდი“ (1997),
„პროსტი“ (1997-99), „ჯორდანი“
(2000-01), „რენო“ (2002-04)
„ტოიოტაშია“ 2005 წლიდან



ახალ „ტოიოტას“ ისევ ძველები — იარნო ტრული და რალფ შუმახერი გააჭროლებენ

AFP ფოტოსურათები



AFP სიეტლიდან

ეს სამსართულიანი ზედახორა, ვაშინგტონელ და სიეტლელ მობურთალთა შორის რომ გამართულა, იმასაც მოასწავებს, რომ ბურთაობის ეროვნულ ლიგაში ბლეი ოფები გახურებულა და არც ამოსუნთქვა იქნება და არც დანდობა.



AFP რინოდან

აი, როდეო, არიზონაში რომ გახურებულა. დიდი სიჩაუქე ჩანს ამ სურათზე, მხოლოდ ის უნდა დავამატოთ, რომ ეს გეი-როდეოს ასოციაციის შეჯიბრია, რომლის დასკვნითი ნაწილიც რინოში, ნევადაში გაიმართება.

ალი თოვლში

მუჰამედ ალი ახლა გერმანიაშია და ტრამპლინის მსოფლიო ჩემპიონატს ესწრება. მოულოდნელი რამ ჩანს, მაგრამ ასე კია და რას ვიზამთ.

AFP კალიფორნიიდან

მირბიან და მირბიან

მუმბაის მარათონი სამყაროს გარშემო რბენის მესამე ეტაპია. მას მიზნად შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაც აქვს და ეს სათავე სტიკერიც ამ წადილს აღნიშნავს. ოთხნაწილა შეჯიბრის პირველი ორი ეტაპი ნაირობისა და სინგაპურში ჩატარდა, მეოთხე კი ჰონკონგში გაიმართება.

AFP მარანელოდან



AFP მუმბაიდან

ფერარის ჩირაღდანი

ლუკა ბადოერი, „ფერარის“ შეფორმულეთა ტესტ-პილოტი ოლიმპიური ჩირაღდნით ხელში დგას „ფერარისავე“ „სპაიდერში“, „ფერარისავე“ ქარხნის წინ მარანელოში. წინ ტურნია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოდიოდა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრრაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ვუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარვანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვანა ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი ჰერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge